# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 14 ოქტომბერი 2005 №236 (2559) ფასი 50 თეთრი




## ჟორჟიკაშვილს ზესტაფონი დაახვედრეს

გუშინ „ზესტაფონის“ მწვრთნელად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი კობა ჟორჟიკაშვილი დაინიშნა.

ხმები თემურ მახარაძის გადადგომის თაობაზე რამდენიმე დღის წინ, კერძოდ, ბოლნისის „სიონთან“ 0:1 წაგების შემდეგ დაირხა, თუმცა მაშინ იმერული კლუბის ხელმძღვანელობამ კატეგორიულად უარყო მწვრთნელის შესაძლო შეცვლა.

მოსახდენი კი, როგორც გითხარით, გუშინ მოხდა: საბერძნეთიდან დაბრუნებულ კობა ჟორჟიკაშვილს „ზესტაფონმა“ მთავარმწვრთნელობა შესთავაზა და თანხმობაც მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ჟორჟიკაშვილი ახალგაზრდული ნაკრების გარდა „ზესტაფონი 2“-ის თავკაციც გახლდათ.

## დაბრუნება ეროვნულში, მთავარკაცები ბელგიაში

მორჩა, საქართველოს ნაკრებისთვის საჯახირო შესარჩევმა ციკლმა ჩაიარა და ვუბრუნდებით ეროვნულ ჩემპიონატს.

ძალიან თამაშები კი უნდა გამოვიდეს მეცხრე ტურში, რომლის ეპიცენტრი ეროვნული სტადიონი იქნება — უჩვეულო, მეხუთე ადგილზე მყოფი თბილისის „დინამო“ კვირას ლიდერ ბოლნისის „სიონს“ დაუხვდება; არანაკლები შფოთი იქნება შაბათს მცხეთაში, სადაც მოგებებით გალაღებულები შეეყრებიან ერთმანეთს: „ვიტ ჯორჯია“ — „ბორჯომი“.

ტური კი დღეს „შევარდენზე“ იხსნება და ერთ-ერთი აუტსაიდერი „სოხუმი“ შეეცდება, „ბათუმი“ უქულოდ, ან თუნდაც კინკილა ქულით დააბრუნოს ზღვისპირეთში.

ეს საქართველოში, ჩვენი ფეხბურთის მთავარკაცები კი ბელგიაში არიან. გუშინ იქ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ჩავიდა ევროშესარჩევი ციკლის პირველ ეტაპზე სათამაშოდ, რომელიც 19 ოქტომბერს დაიწყება. ჰოდა, ნოდარ ახალკაცი და გაიოზ დარსაძე პირდაპირ ათენიდან ჩავიდნენ ბელგიაში...



## თვითმფრინავი ძროხას დაეჯახა
### დადიანის ტურნირმა ავია ააშენა



დუდუ დადიანის მეოთხე მემორიალური ტურნირი გუშინ ავიატორთა გამარჯვებით დასრულდა. საავიაციო ქარხნის ხელმძღვანელობამ კალათბურთში ჩადებული თანხის დივიდენდი ერთი წლის შემდეგ მიიღო. შარშან დიდი ამბიციით შექმნილმა „ავიამშენმა“ წინა სეზონში ვერაფერი მოიგო, წლევანდელი კი დუდუ დადიანის თასის აწევით დაიწყო. ავიატორებმა კომპანია „ნიკორასგან“ ჩაცმულ-დახურულ სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს ფინალში შანსი არ დაუტოვეს — თავიდანვე სოლიდურად დაწინაურდნენ და დუდუ დადიანის მომცრო ქანდაკება დამსახურებულად ჩაიბარეს.

ყოჩაღ, მეკარეს!
გუშინწინ საქართველოს ნაკრებმა საბერძნეთში მინიმალური სხვაობით წააგო და ამ მატჩის შემდეგ ბევრმა თქვა, მეკარეს რომ არ ეყოჩაღა, ანგარიში სამარცხვინო იქნებოდაო. ევროპის ჩემპიონებთან საქართველოს კარს 18 წლის ქუთაისელი ნუკრი რევიშვილი იცავდა, ვისაც აქამდე ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებებიდან და „ტორპედოში" ჩატარებული რამდენიმე მატჩით თუ ვიცნობდით. გუშინწინდელი შეხვედრის შემდეგ კი ნუკრი რევიშვილი საბერძნეთშიც გაიცნეს...




# ნუკრი რევიშვილი: მთავარი ყაზახეთი იყო...

— ბავშვობიდანვე „ტორპედოს" სკოლაში თემურ ნადირაძესთან ვიყავი. ძირითად გუნდში 15 წლისა მოვხვდი, მაშინ, როცა გუნდს რევაზ ძოძუაშვილი ხელმძღვანელობდა, თუმცა აქამდე, თავის გამოჩენის საშუალება არ მქონია — გვითხრა საბერძნეთიდან ახალჩამოსულმა ნუკრი რევიშვილმა — საერთაშორისო სარბიელზე პირველად „ტორპედო" — „ბატეს" მატჩებისას ვითამაშე. მერე საქართველოს 19-წლამდელთა და ახალგაზრდული ნაკრებები იყო, ახლა კი ეროვნულ გუნდშიც ვარ.

**— ფიქრობდი, რომ 18 წლისა ევროპის ჩემპიონებთან თამაშს შეძლებდი?**

— ეს არ მიფიქრია, მაგრამ ყაზახეთთან მატჩის შემდეგ საბერძნეთთანაც ძირითადში თამაშს ველოდი.

**— მწვრთნელმა გითხრა, რომ საბერძნეთშიც ძირითადში იქნებოდი?**

— არა, ვფიქრობ, ყაზახეთთან კარგად ვითამაშე, გოლი არ გაგვიშვია და ამიტომაც ველოდი ათენში თამაშს.

**— ყაზახეთთან მატჩამდე ეროვნულ გუნდში გამოძახება მოულოდნელი არ ყოფილა?**

— არა, რადგან ნაკრების თავკაცმა გაიოზ დარსაძემ ესტონეთში, 19-წლამდელთა ტურნირისას თქვა, ვინც ახლა თავს გამოიჩენს, ეროვნულ გუნდშიც გამოვიძახებო. იმ ტურნირზე კი კარგად ვითამაშე და ვფიქრობდი, რომ ყაზახეთთან თუ არა, საქართველოს ნაკრებში მერე მაინც გამომიძახებდნენ.

**— ეროვნული გუნდი ყველასთვის საოცნებოა...**

— ჩემთვისაც, რა თქმა უნდა. ბედნიერი ვარ, რომ ეს ოცნება ამისრულდა და ახლა მსურს, საქართველოს ნაკრებთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწიო.

**— ევროპის ჩემპიონების წინააღმდეგ თამაში ძალიან გაგიჭირდა?**

— არა. მგონი, თამაში თავიდანვე კარგად დავიწყე და ნელ-ნელა თავდაჯერებაც ვიგრძენი. ნაკრების გამოცდილი ფეხბურთელების მადლობელი ვარ, მათ თბილად მიმიღეს და საქმეც მეტ-ნაკლებად გამიიოლეს. სადღეისოდ ეროვნულ გუნდში ჩემი თაობის რამდენიმე ფეხბურთელია, მაგრამ არც ერთს გაგვჭირვებია, ჩვენ ერთად საბერძნეთამდეც გვითამაშია და ბევრი სანერვიულოც არაფერი გვქონია.

**— პირველ ტაიმში ვრიზასი შენთან პირისპირ დარჩა და საკმაოდ სახიფათოდ დარტყმულიც აულე...**

— იმ ეპიზოდში ვრიზასმა ბასინასს კედელი გაუთამაშა და ნაღდი საგოლე შანსი მიეცა. ვფიქრობ, კარიდან დროულად გამოვედი და ვრიზასს გატანა აღარ დავანებე.

**— მართალია, რომ „ტორპედოდან" „ზესტაფონში" გადასვლას აპირებ?**

— ახლა აღარ. სეზონის დაწყებამდე იყო ლაპარაკი „ზესტაფონში" გადასვლაზე, მაგრამ ქუთაისში დარჩენა ვამჯობინე.

**— რატომ, იქ ხომ უკეთესი პირობებია?**

— „ტორპედოში" ძირითადი შემადგენლობის გარანტია მაქვს და თანაც შინ ვარ. ჩემს შესაძლებლობებს საქართველოში დავამტკიცებ, მერე კი მსურს, კარიერა უცხოეთში გავაგრძელო.

**— როგორ ფიქრობ, რა ნაკლი გაქვს?**

— უპირველესად, გამოსვლაზე თამაში. ისე კი, ბევრი მაქვს სასწავლი.

**ძოგბა ინასარიძე**

# სტატისტური სტატისტიკა

**12 თამაში**, 2 მოგება, 4 ფრე, 6 წაგება, ბურთების სხვაობა 14:25, 10 ქულა, ბოლოსწინა ადგილი ჯგუფში, 2 მწვრთნელი და 37 ფეხბურთელი — ასეთია საქართველოს ნაკრების მონაგარი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში.

რა იყო ცუდი და რა კარგი, ამაზე ახლა არ ვილაპარაკებთ. უბრალოდ, გადავწყვიტეთ, განვლილ შესარჩევში საქართველოს ნაკრები ციფრებში „დაგვეხატა". სტატისტიკის მოყვარულთ ეს ცხრილი უთუოდ დააინტერესებთ. მანამდე კი, შევახსენებთ, რომ ეროვნულმა გუნდმა გერმანიის მუნდიალის საგზურისთვის „ბრძოლა" ფრანგი ალენ ჟირესის თავკაცობით დაიწყო (7 თამაში, 1 მოგება, 2 ფრე, 4 წაგება, ბურთები 10:16) და ქართველი გაიოზ დარსაძით ჩაამთავრა (5 თამაში, 1 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება, ბურთები 4:9).

**გიორგი ვაშაძიძე**

**საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე**

| ფეხბურთელი | თამაში | წუთი | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| კახა კალაძე | 11 | 990 | 0 | 2 | 0 |
| ლევან კობიაშვილი | 11 | 977 | 1 | 1 | 0 |
| გიორგი დემეტრაძე | 10 | 760 | 5 | 0 | 0 |
| მალხაზ ასათიანი | 10 | 753 | 3 | 2 | 0 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 9 | 739 | 0 | 3 | 1 |
| ლევან ცქიტიშვილი | 9 | 743 | 0 | 1 | 0 |
| კახა მჟავანაძე | 8 | 675 | 0 | 1 | 0 |
| ლაშა სალუქვაძე | 7 | 484 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | 6 | 468 | 0 | 1 | 0 |
| ალექსანდრე იაშვილი | 6 | 438 | 2 | 0 | 0 |
| აკაკი დევაძე | 5 | 381 | -6 | 0 | 0 |
| დავით კვირკველია | 5 | 300 | 0 | 1 | 0 |
| შოთა არველაძე | 5 | 348 | 0 | 1 | 0 |
| ჯაბა კანკავა | 5 | 392 | 0 | 3 | 0 |
| გიორგი ლომაია | 5 | 429 | -15 | 0 | 0 |
| გოგიტა გოგუა | 5 | 321 | 0 | 3 | 1 |
| დავით მუჯირი | 5 | 238 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი განუგრავა | 4 | 212 | 0 | 1 | 0 |
| გოჩა ჯამარაული | 3 | 252 | 0 | 0 | 0 |
| ლადო ბურდული | 3 | 85 | 1 | 1 | 0 |
| მიხეილ აშვეთია | 3 | 179 | 0 | 0 | 0 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | 3 | 257 | 0 | 1 | 0 |
| დავით ოდიკაძე | 3 | 160 | 0 | 0 | 0 |
| გოგა გახოკიძე | 3 | 270 | 1 | 0 | 0 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | 2 | 170 | 0 | 1 | 0 |
| ლაშა ჯაკობია | 2 | 105 | 0 | 0 | 0 |
| ნუკრი რევიშვილი | 2 | 180 | -1 | 0 | 0 |
| რატი წინამძღვრიშვილი | 2 | 49 | 0 | 0 | 0 |
| მამია ჯიქია | 1 | 73 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | 1 | 90 | 1 | 0 | 0 |
| ზვიად სტურუა | 1 | 90 | -3 | 0 | 0 |
| ლევან მაღრაძე | 1 | 64 | 0 | 0 | 0 |
| ვიტალი დარასელია | 1 | 32 | 0 | 1 | 0 |
| მიხეილ ბობოხიძე | 1 | 14 | 0 | 0 | 0 |
| კახა ალადაშვილი | 1 | 79 | 0 | 1 | 0 |
| ბექა გოცირიძე | 1 | 4 | 0 | 1 | 0 |
| გივი კვარაცხელია | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |



საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთი ავადმოსაგონარი შესარჩევი ციკლი ათენური მატჩით დაასრულა

# პატარა ჭელიძე დიდ ლოკომოტივში

**მოსკოვის** „ლოკომოტივმა" სანაკრებო პაუზით ისარგებლა და ამხანაგური მატჩი გამართა თანაქალაქელ „მოსკვასთან". საინტერესოა, რომ სხვადასხვა ნაკრებში წასული ფეხბურთელების არყოფნაში ვლადიმირ ეშტრეკოვმა 18 წლის ქართველი თავდამსხმელი გიორგი ჭელიძე ძირითადში დააყენა.

„პაჭელომ" პირველი ტაიმი ითამაშა, ისევე, როგორც მალხაზ ასათიანმა, ვინც საქართველოს ნაკრებს დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაეხმარა.

შევახსენებთ, რომ რუსული პრემიერლიგის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე „ლოკომოტივი" პირველ ადგილზეა და ორი ქულით უსწრებს მდევარ ცესკას.

**ძახა შალამბერიძე**



# რატომ ვმსჯელობთ სალუქად?

**ბერძნები** ქართველებს ისე დაგვყურებენ, როგორც აკროპოლისი ათენს — ეს იგრძნობოდა თამაშის წინ, მის შემდეგაც და საერთოდაც — ათენში ბევრი ქართველი ქურდობს და უაზროდ კაბალიერობს, ზანგები კი ნარკოტიკებს ყიდიან...

ვფიქრობთ, შელამაზება თუ სინამდვილის სალუქად გადმოცემა არაფერს მოგვცემს, ათენში მართლაც ასეთი ტენდენციაა, მაგრამ ეს არავის უკვირს, თითქოს ყველაფერ ამას იქ შეგუებულნი არიან ისე, როგორც იმას, რომ მათი ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებები ჩვენსას აუცილებლად მოუგებდნენ.

მაგრამ ეროვნულ ნაკრებთა მატჩი არცთუ სალუქი გამოდგა ბერძნებისთვის და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბერძნებს მათემატიკური შანსიღა (იქაური ჟურნალისტების საყვარელი ფრაზა) შერჩენოდათ მუნდიალზე მოსახვედრად — ჩვენმა უპირველესმა გუნდმა უწინდელ მატჩებთან შედარებით უკეთესად ითამაშა.

გაიოზ დარსაძემ სხვანაირი, ჩვენი ნაკრებისთვის ახლებური 4-4-2 აირჩია. ჯაბა კანკავა და გოგიტა გოგუა მთლად ფლანგელი ნახევარმცველები როდი იყვნენ, ცენტრისკენ იყვნენ შეწეულები და თანაგუნდელებთან ერთად კონკრეტული მომენტებისთვის პრესინგისთვის შემართულები.

უთამაშებელი კანკავა და გოგუა უწინდელზე უკეთ გამოიყურებოდნენ, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოდგა — საქართველოს ნაკრებს ამით ღონე მოემატა, კარგად გამოჩნდა, რომ ეს ორი ფეხბურთელი ძალიან სტრატეგიულია დარსაძის გუნდისთვის.

...ვისაც 1996-99 წლების თბილისის „დინამო" და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრები ახსოვს, ვერ შეგვეწინააღმდეგება იმაში, რომ დავით მუჯირი „იგროკია" — ეს რუსული განმარტება ძალიან მკაფიოდ აჟღერებს სათქმელს, მაგრამ მუჯირს სხეულის ისეთი კონსტრუქცია აქვს, რომ ნიჭს სრულად ვერ ხარჯავს — ასე იყო ბერძნებთან მატჩშიც.

17 წლის გიორგი განუგრავას საუკეთესო მატჩები „ამერში", 19-წლამდელთა ნაკრებში და „ზესტაფონში" ქართული საფეხბურთო საზოგადოების ფართო სპექტრისთვის უცნობია და ალბათ ამიტომაც უჭირთ ამ ნიჭიერი ნახევარმცველის თამაშის აღქმა. მწვრთნელებთან და ფედერაციის ხელმძღვანელობასთან კამათს არ ვაპირებთ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეროვნულ ნაკრებში თამაში განუგრავასთვის ადრეა. გამეორება ცოდნის დედაა — ასე გამოდის, მაგრამ მხოლოდ ერთხელ თქმა და მერე გაჩუმებაც არ ივარგებს.

ალბათ, არც ისვარგა, როცა დიდ გუნდში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელზე სალუქად ვმსჯელობთ — მოგეწონათ კახა კალაძის თამაში ყაზახეთში, დანიაში და თბილისში ყაზახეთთან?..

მე ზურაბ ხიზანიშვილის თამაში მომეწონა ათენში, ეს არ იყო ხიზანიშვილის უშეცდომო თამაში, მაგრამ მან დაცვის ლიდერივით ითამაშა, დაცვის ლიდერი და ნამდვილი ბურჯი კი საქართველოს ნაკრებში ბოლო წლებში არა და არ ჩანდა. დაცვის ლიდერს მხოლოდ კარგი ჯანი და კარგი სირბილი ვერ ეყოფა. ხიზანიშვილმა გეორგიოს კარაისკაკის სახელობის სტადიონზე ძალიან ოსტატურად ითამაშა.

კარაისკაკის სტადიონზე „ოლიმპიაკოსი" თამაშობს. კარაისკაკი ათენის უბან პირეოსშია და ზოგიერთ ცნობარში „ოლიმპიაკოსის" სამშობლოდ ათენი კი არა, პირეოსია მოხსენიებული. სამშობლო მართლაც გამძაფრებული ცნებაა ბერძნებში და იქნებ ამიტომაც ჰქვია მათ ყველაზე თანამედროვე სტადიონს გეორგიოს კარაისკაკი, ვინც მე-19 საუკუნის დასაწყისში საბერძნეთის დამოუკიდებლობისთვის ებრძოდა თურქებს და ბრძოლაში დაიღუპა.

ჩვენ კი კმაყოფილები ვართ, ევროპის ჩემპიონებთან სტუმრად მხოლოდ 0:1 რომ წავაგეთ. მატჩის ბილეთი 20-დან 200 ევრომდე ღირდა და სტადიონი თითქმის გაივსო, რადგან „კარაისკაკიზე" საბერძნეთის ეროვნული ნაკრები თამაშობდა.

...და ომონია, ხუთმილიონიანი ათენის ცენტრი, სადაც ყველა ჯურის ხალხი მიდი-მოდის და საქმიანობს. სწორედ იქ არის ყველაზე მეტი ზანგი და ქართველი, ერთი მეორისგან წამალს იაფად ყიდულობს — გვითხრეს იქ მცხოვრებმა ქართველებმა, რომლებიც ნარკომანის სიკვდილის შემდეგ უმალ ფულს აგროვებენ — ათენიდან თბილისში გვამის ჩამოსვენება 7 000 ევრო ღირს.

**დავით თავართქილაძე**

**ათენი — თბილისი**

## geo_geo_fan@hotmail.com

*დღევანდელი ორი წერილით დროებით დავივიწყებთ ჩვენს რუბრიკას, რომელსაც ნაკრების მომავალი მატჩებისას, ცხადია, ისევ გავიხსენებთ. დღევანდელი ფოსტით კი, განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ და თუ რატომ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ...*

**SIBELES**: *გაუმარჯოს „სარბიელს"! პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავიხადოთ ჩემი ამასწინანდელი წერილის დაბეჭდვისთვის.*

*ეს შესარჩევიც დამთავრდა. დამთავრდა, მაგრამ, როგორც ბოლო დროს დაგვჩემდა, კარი ვერ გავიჯახუნეთ. თუმცა რა უნდა გვექნა, საბერძნეთი ხომ ევროპის ჩემპიონია?! — არ დააყოვნებს ალბათ ეს „არგუმენტი" მავანთაგან. ისე კი, ღირსეულად წავაგეთ. ძალიან მაინტერესებს, ვინ დაამკვიდრა ეს იდიოტური ტერმინი — თავის მართლება. არა, 1:0 ნამდვილად არ არის უღირსი და შეურაცხმყოფელი, პრინციპში არც წაგება, რადგან უკვე მივეჩვიეთ. აი, წაგებას რომ მივეჩვიეთ, ეს კი ნამდვილად ცუდად ეხება ჩვენს ღირსებას.*

*მოკლედ, შევაჯამოთ დარსაძე-ახალკაცის მონაგარი: 4 თამაში, 2 ფრე, 2 წაგება. ბურთები 4:9. მოპოვებული 2 ქულა დაუფასდა ბატონ გაიოზს და კონტრაქტიც 2 წლით გაუგრძელეს. თუ ეს მანამდე მოხდა, როცა 1 ქულა ჰქონდა აქტივში? მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. დაუფასდა ალბათ იმიტომ, რომ ერთი ქულა ჯგუფის გამარჯვებულთან ავიღეთ და მეორე კი, უთანასწორო ბრძოლაში, მწვანე მოლის ჯადოქრებთან — ყაზახებთან.*

*ბატონო ნოდარ, გულით გვჯერა, რომ ქართული ფეხბურთისთვის წარმატების მოტანა გინდათ, სულმნათი ნოდარ ახალკაცის შვილს არ შეიძლება ეს რომ არ გინდოდეთ, მაგრამ როცა აშკარა შეცდომას უშვებთ და უმრავლესობა (ოღონდ, არა საპარლამენტო) ამაზე მიგითითებთ, შეურაცხყოფად და ჭკუის დარიგებად ნუ მიიღებთ, რადგან ჩვენც თქვენსავით ძალიან გვინდა, მოვესწროთ და გავიხაროთ საქართველოს წარმატებით.*

*P.S. მგონი, ბორა მილუტინოვიჩი უმუშევარია. ამბობენ, „მეფე ოტოც" ტოვებს საბერძნეთსო. კიდევ ვინმეს მოძებნა შეიძლება, ამიტომ გავკადნიერდები და გეტყვით: ვიფიქროთ, ბატონო ნოდარ?*

ფიქრს კაცი ჯერ არ მოუკლავს, ამიტომ შეგვიძლია მილუტინოვიჩზეც ვიფიქროთ, რეჰაგელზეც და თუ გნებავთ, ცხონებულ ჟოაო სალდანიაზე, მაგრამ არა მგონია, ამ ფიქრიდან რამე სახეირო გამოვიდეს. და თუ რატომ, თავად ბატონი ნოდარის კომენტარებიდან ჩანს: ერთი რომ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას საამისოდ ფული არ აქვს და მეორეც, ბატონ გაიოზს გასაშვები არაფერი სჭირს, ის ძალიან კარგად უძღვება თავის საქმეს.

მცირე შენიშვნაც: ავტორს მისეულ სტატისტიკაში ყაზახეთთან 2:1 მოგებული მატჩი გამორჩენია.

ახლა კი იმ წერილს გავეცნოთ, რომლის თაობაზეც შესავალში მოგახსენეთ, განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ-მეთქი. საბაბი მაქვს: პირველად მივიღეთ წერილი, რომლის ავტორიც ნოდარ ახალკაცის და გაიოზ დარსაძის მხარეს იჭერს. აქ ირონიის ძებნას ნუ დაიწყებთ, ამას ალალად ვამბობ და აი, რატომ: უბრალოდ, მოსაბეზრებელი იყო ყოველდღე ერთი და იმავე შინაარსის წერილების კითხვა. ასე კი მრავალფეროვნება მივიღეთ და ჩვენი რუბრიკის მიზანიც ეს არის — სხვადასხვა აზრი მოვისმინოთ. მაშ ასე...

**INCHA**: *„სარბიელს" და „სარბიელის" მკითხველებს სალამი. პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ თქვენს გაზეთს არა მარტო სპორტული პრესის, არამედ, ზოგადად ქართული პრესის უდავო ლიდერად და მარგალიტად მივიჩნევ ჟურნალისტების გონებამახვილური სტატიებისა და, რაც მთავარია, უზადო ქართულის გამო. მით უფრო საწყენი და მოულოდნელია ჩემთვის, რომ „სარბიელმა" ფედერაციის პრეზიდენტისა და ნაკრების მთავარი მწვრთნელის პიროვნული (ხაზს ვუსვამ — პიროვნულ) შეურაცხყოფის ფლაგმანობა ჩამოართვა სხვა გაზეთებს და ეს „მისია" თვითონ იკისრა. ყოვლად გაუგებარია ის ისტერიული დამოკიდებულება, რაც დღევანდელი ნაკრების გარშემოა ატეხილი. თითქოს დარსაძეს მსოფლიო დონის გრანდი ჩავაბარეთ საწვრთნელად და არა ის გუნდი, რომელსაც არც ერთი პრინციპული თამაში არ აქვს მოგებული და რომელიც ჟირესის მწვრთნელობისას ბოლო ორ გადამწყვეტ თამაშში სამარცხვინოდ დამარცხდა საბერძნეთთან და განსაკუთრებით თურქეთთან. თითქოს დარსაძის გამო დავკარგეთ მსოფლიოზე გასვლის შანსი.*

*ის ხალხი, რომელიც შოთას გინებით იყო დაკავებული სტადიონზე, დღეს მას მისტირის. პირადად მე, შოთას პოსტსაბჭოური პერიოდის უძლიერეს ქართველ ფეხბურთელად მივიჩნევ. ისინი, ვინც მოითხოვდნენ ასათიანის დაცვაში თამაშს („ლოკომოტივში" ამ პოზიციაზე თამაშობსო), ახლა, ყაზახეთის მერე ამბობენ: ასათიანს დაცვაში რა უნდაო. ეს ტიპური ქართული ტვინნაღრძობობაა და სხვა არაფერი. რაღაც არ მახსოვს, ჟორდანიას დროს განცდილი ფიასკოების გამო ამხელა აჟიოტაჟი ყოფილიყო. ქართული ფეხბურთის დასნეულებასა და უსუსურობაში ახალკაც-დარსაძის დადანაშაულება უბრალოდ უსამართლობა და უზნეობაა. რაც შეეხება სტადიონზე წასვლას, მე იქ ნაკრების საგულშემატკივროდ დავდივარ და არა ვინმეს ხათრით. სანამ ცოცხალი ვარ, ჩვენი ნაკრების თავგადაკლული ფანი ვიქნები და მის მარცხს უაზრო საქილიკო თემად არ გავხდი, უბრალოდ მეწყინება.*

აი, ასეთ წერილს გვიგზავნის ინჩა და ვეცდები, ამ წერილში გამოთქმულ თითოეულ მოსაზრებას კომენტარი დავურთო.

პირველ რიგში, მადლობა შექებისთვის, რაც, ყალბი თავმდაბლობის გარეშე რომ ვთქვა, მესიამოვნა. რა ვუყოთ, ესეც ადამიანური თვისება თუ სისუსტეა.

ფედერაციის პრეზიდენტის და ნაკრების მწვრთნელის პიროვნულ შეურაცხყოფაზე გამოთქმულ შენიშვნას კი ვერ დავეთანხმები. ერთი რომ, სარბიელელთა არც ერთ სტატიაში ბატონი ნოდარის და ბატონი გაიოზის პიროვნულ შეურაცხყოფას ვერ ამოიკითხავთ, ხოლო თუ ავტორმა შეურაცხმყოფელი გამონათქვამები ამ რუბრიკაში ამოიკითხა... გულახდილად გეტყვით: ჩვენს ფოსტაში მისული წერილების გვარიან ნაწილში ნამდვილად იყო შეურაცხმყოფელი გამონათქვამები და უცენზურო სიტყვები, რომელთა „ამოყრასაც" გულმოდგინედ ვეცადე. თავისთავად მოსაზრებას კი, რომ პიროვნული შეურაცხყოფა დაუშვებელია, რა თქმა უნდა, ვეთანხმები.

შემდეგ: გაიოზ დარსაძეს მსოფლიო დონის გუნდი, ცხადია, არ ჩაუბარებია, პრინციპული მატჩებიდან კი საქართველოს ნაკრებს მხოლოდ ერთი — რუსეთთან აქვს მოგებული, თუმცა ის თამაში არა სპორტული, არამედ სხვა მიზეზის გამო იყო პრინციპული. ისიც ცხადია, რომ საქართველოს ნაკრებმა ჯგუფიდან გასვლის პრაქტიკული შანსი დარსაძის მისვლამდე დაკარგა და თეორიულ შანსებზე ლაპარაკი უბრალოდ სასაცილოა.

თავს როგორ დავდებ, შოთა არველაძეს სწორედ ის ხალხი მისტირის, ვინც აგინებდათ. შესაძლოა იგივე ხალხი მისტირის, შესაძლოა, ისინი მისტირიან, რომლებსაც შოთასთვის არასდროს უგინებიათ. თუმცა, ჩემი აზრით, ეს არც არის პრინციპული საკითხი — სამწუხარო ის არის, რომ სტადიონზე მისული ხალხის მოზრდილი ნაწილი საკუთარ ფეხბურთელებს აგინებს და მოედანზე ათას ჯანდაბას ისვრის.

...ჟორდანიასდროინდელი ფიასკოების თაობაზე ავტორს ვერ დავეთანხმები — აჟიოტაჟი მაშინაც არანაკლები იყო.

...რა თქმა უნდა, ახალკაცისა და დარსაძის ბრალი სულაც არ არის ქართული ფეხბურთის დაჩანაკება.

ვფიქრობ, ავტორი იმას გულისხმობს, რამდენიმე წერილში რომ ეწერა, ამათ ჟორდანია მოგვანატრესო.

...რა არის, იცით, ჟორდანიას დრო ცუდი თუ იყო, ეს ახალკაცისთვის თავის მართლების საბაბი არ უნდა იყოს — მისი მოვალეობა ხომ სწორედ ძველი შეცდომების გამოსწორებაა. ასევე: ძველ დროში ჩვენი ნაკრები უკლასო რომ იყო, ახალი მწვრთნელის მოვალეობა ხომ სწორედ კლასის ამაღლებაა. რა თქმა უნდა, შეიძლება თქმა, რომ კლასი ორ-სამ თვეში არ მაღლდება და სწორიცაა. მაგრამ ვფიქრობ, ლაპარაკი ტენდენციებზეა და არა იმაზე, უკვე დღეს რატომ არ გვყავს მსოფლიო კლასის ნაკრებიო.

გულშემატკივრები, რომლებიც ამ დღეებში წერილებს გვწერდნენ, იმ პოლიტიკას აკრიტიკებდნენ, რომლითაც ახალკაცის გუნდმა ქართული ფეხბურთი უნდა აღორძინოს და რომელი პოლიტიკის წარმატებულობისაც გულშემატკივრებს არ სჯერათ.

**WEB-ოსტატი გუარა**

geo_geo_fan@hotmail.com

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

## საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

9 ტურის ანონსი

# ეროვნულის დაბრუნება: ცენტრალური ეროვნულზეა

**კიდევ** ერთი უნაყოფო სანაკრებო პერიოდი გადავიარეთ, კიდევ ერთხელ ჩამოვყარეთ ყურები და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე მანამდე არაფერი გვესაქმება, სანამ ეროვნული ჩემპიონატის ბევრ მატჩში სირბილზე მეტად სიარულია და სადაც თამაშებს თითებზე ჩამოსათვლელი ოდენობის მაყურებელი ესწრება. ესეც ერთი პატარა ნიუანსია, თორემ...

მოკლედ, ჩვენი ლაპარაკით ბევრს ვერაფერს ვუშველით, აგერ ჩემპიონატის მეცხრე ტურიც მოგვადგა და სამდღიანი რვამატჩეული წინასწარ მიმოვიხილოთ. პარასკევ-შაბათი ბოლოს მოვიტოვოთ, რადგან ტურის მთავართამაში კვირასაა...

ლიდერი ბოლნისის „სიონი" „ეროვნულზე" მეხუთეადგილოსან თბილისის „დინამოს" სტუმრობს, ანუ ჩემპიონატის ალმოჩენა იმ ფავორიტის წინააღმდეგ, რომელსაც რთული პერიოდი უდგას და უკვე სამჯერ წაგებაც მოუსწრია.

ლევან ხმალაძე, ჯაბა დვალი, გიორგი კვიტაიშვილი და მწვრთნელი ხვიჩა ქასრაშვილი — ეს ის ხალხია, რომლებიც სწორედ „დინამოდან" არიან „სიონში" გადასულნი და, თქმა არ უნდა, სხვა „მუღამით" ითამაშებენ ყოფილი კლუბის წინააღმდეგ. ერთი შეხედვით, დინამოელებს თავდამსხმაში პრობლემები არ უნდა ჰქონდეთ და ვერავინ იტყვის, ჯაბა დვალი სანდრო იაშვილზე ან ლევან მელქაძეზე სახელიანია, მაგრამ აი, ფაქტი: დვალს ხუთი გოლი აქვს გატანილი.

კახა ცხადაძის გუნდს სწორედ დვალ-მიკუჩაძის ფეხშეწყობილი დუეტის შეჩერება მოუწევს და თუ ვერ მოახერხა, კარგი დღე არ დაადგება. ერთი სიტყვით, ბოლნისელები მშვენიერ ხასიათზე ესტუმრებიან „ეროვნულს", „დინამო" კი მაინც „დინამოა" და ვინ იტყვის, რომ თბილისელები ამ მატჩში აუტსაიდერები არიან?..

აქვე გაცნობებთ: „დინამო" სიონის" პირდაპირი რეპორტაჟის ნახვა ტელეკომპანია „იმედის" მეშვეობითაც შეგიძლიათ.

ეს კვირას, შაბათობიდან კი განსაკუთრებულ ინტერესს მცხეთური „ვიტ ჯორჯია" — ბორჯომი" იწვევს. როგორია, ვიტელებს ზედიზედ ხუთი, ქართლელებს კი შვიდი მატჩი მოუგიათ. ასე რომ, თუ ნაღდი ფეხბურთის ცოცხლად ნახვა გსურთ, დიდუბის მეტროდან მცხეთაში წასასვლელ ლარიანს ნუ დაინანებთ. აქეთ ოთარ მარცვალაძე, იქით გიორგი ქორიძე — მთავარი გოლზედაგეშილები სწორედ ესენი იქნებიან, თუმცა ბორჯომელებს ჯანზე ჰყავთ ფეხმარდი რევაზ გეწაძე და მხცოვანი იური გაბისკირია, ხოლო ვიტელთა ახალგაზრდა ფორვარდ ნიკა გელაშვილის მიმართ დიდი სიფხიზლეა საჭირო — მან წინა ტურში „ამერს" ორი გოლით მოუთავა საქმე. და დანაკლისიც: ბორჯომელებს პაატა გვირჯიშვილი, თბილისელებს კი დავით ლომაია დააკლდებათ. პროგნოზი თუ გნებავთ, 51 პროცენტიც კი ვერავისთვის გაგვიმეტებია, შანსები თანაბარია და უფრო ფრეს გვეუბნება გული. არადა, მიჯრით ოთხი ტურია, ჩემპიონატში ფრე არ გვინახავს...

მივადექით იმერულ დერბის: „ზესტაფონი" თავის ხასხასა მინდორზე მეზობელ ქუთაისის „ტორპედოს" დაუხვდება. ფეროელებს თუ ნაღდად ჩემპიონობა სურთ (და ვის სჯერა, რომ ასე არაა), ქულების განიავებას უნდა შეეშვან, მით უმეტეს, ჯერაც წამოუჩიტებელ „ტორპედოსთან". თავად დათვალეთ, რამდენი ფეხბურთელი ჰყავთ ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში ფეროელებს. ჰოდა, დაღლილობის მომენტსაც ნუ გამორიცხავთ. თანაც, ქუთათურთა ყმაწვილი მეკარე ნუკრი რევიშვილიც თუ ათენურად გაირჯება... მოკლედ, „ტორპედოს" ამ თამაშში წინასწარ ვერ გავწირავთ.

მიჯრით მოგებები „ლოკომოტივსაც" არ ესწავლება. ნოდარ აკობიას ბიჭებს მეორე ტურის შემდეგ ქულა არ დაუკარგავთ და ისე ჩანს, არც „თბილისთან" მოუვათ იალღიში. გიორგი დევდარიანის გუნდს ერთი ფრეც სანატრელი გახდომია და საკითხავი ისღაა, ვისთან მიუწვდება ხელი...

და კიდევ: არაა გამორიცხული, ტურში საქმე ისე აეწყოს, რომ „ლოკომოტივი" ცხრილის კენწეროში წამოჯდეს...

მორიგ საშინაო სამ-სამ ქულას ელიან „კახეთი" და „კოლხეთი", ოღონდ, ახლა მათ მეტოქეებს ჰკითხეთ — გორის „დილამ" წინა ტურში „სოხუმი" ხუთი უპასუხო გოლით გაასამტვერა და პირველ გასვლით ქულას ელის, თბილისის „ამერი" კი ფოთელთა ტრადიციის დარღვევას შეეცდება: მოგეხსენებათ, სოსო ფილიას ბიჭები ზღვისპირეთში წაუქცეველნი არიან, მათგან კი დამტკიცებულივით მხოლოდ ზვიად ქუთათელაძეს გააქვს გოლები.

შაბათის ყველაზე ნაკლებად თვალსასეირო მატჩი ალბათ „ცხინვალი" — „სპარტაკია", თუმცა ორივე არგავარდნისთვის იბრძვის და კბილებით თამაში უნდა გამოდგეს.

ტური კი დღეს იხსნება და ოთარ გაბელიას „ბათუმი" ფავორიტის რანგში ესტუმრება „სოხუმს". ცხრილს რომ თავი დავანებოთ, ინგლისელი ინვესტორით წელგამართული კლუბი სულთმობრძავ მეტოქესთან არ უნდა დაკოჭლდეს, თუმცა სოხუმელთა თავკაცი გოჩა ჟორჟოლიანი სხვაგვარად ფიქრობს — ამიერიდან უფრო თამამად დავიწყებთ ქულების დაგროვებასო.

**ილია ნანობაშვილი**

თბილისი. 14 ოქტომბერი. 15 საათი. შევარდენი

**სოხუმი — ბათუმი**

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ზ. ანიაშვილი (გორი); ინსპექტორი: ა. შალამბერიძე

ფოთი. 15 ოქტომბერი. 15 საათი. ფაზისი

**კოლხეთი — ამერი**

თელავი. 15 ოქტომბერი. 15 საათი. გივი ჩოხელი

**კახეთი — დილა**

თბილისი. 15 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპი

**თბილისი — ლოკომოტივი**

ზესტაფონი. 15 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური

**ზესტაფონი — ტორპედო**

გორი. 15 ოქტომბერი. 15 საათი. ქართლი

**ცხინვალი — სპარტაკი**

მცხეთა. 15 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი

**ვიტ ჯორჯია — ბორჯომი**

თბილისი. 16 ოქტომბერი. 15 საათი. ეროვნული

**დინამო — სიონი**

**დისკვალიფიცირებულნი**

ივანე თაყაძე (ცხინვალის მწვრთნელი)

ისლომ ინომოვი (ლოკომოტივი)

გიორგი კველიშვილი (კახეთი)

მიხეილ კობაური (სიონი)

ალეკო კაიდარაშვილი (ამერი)

პაატა გვირჯიშვილი (ბორჯომი)

მიხეილ კოტრიკაძე (სპარტაკი)

დავით ლომაია (ვიტ ჯორჯია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 8 | 7 | 1 | 0 | 15:4 | 22 |
| ბორჯომი | 8 | 7 | 0 | 1 | 18:4 | 21 |
| ლოკომოტივი | 8 | 6 | 2 | 0 | 13:2 | 20 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 1 | 1 | 12:5 | 16 |
| დინამო | 8 | 4 | 1 | 3 | 10:6 | 13 |
| ბათუმი | 8 | 4 | 1 | 3 | 5:4 | 13 |
| ამერი | 8 | 4 | 1 | 3 | 7:7 | 13 |
| დილა | 8 | 4 | 0 | 4 | 12:7 | 12 |
| ზესტაფონი | 7 | 4 | 0 | 3 | 5:4 | 12 |
| კოლხეთი | 8 | 4 | 0 | 4 | 5:8 | 12 |
| კახეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 6:13 | 9 |
| ტორპედო | 8 | 2 | 1 | 5 | 5:8 | 7 |
| ცხინვალი | 8 | 2 | 0 | 6 | 4:12 | 6 |
| სპარტაკი | 8 | 1 | 1 | 6 | 1:8 | 4 |
| სოხუმი | 8 | 1 | 1 | 6 | 7:19 | 4 |
| თბილისი | 8 | 0 | 0 | 8 | 2:15 | 0 |

# გადამწყვეტია ზამთარი

## ჯაბა დვალი: ეტყობა, ახალგაზრდულში თამაშს არ ვიმსახურებ



**ჯაბა დვალი** საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფორვარდად ითვლება. ბოლნისის „სიონმა" მისი „დინამოდან" გადაყვანით რა მოიგო, აგერ, სატურნირო ცხრილიდანაც ჩანს. 20 წლის დვალს ჯერჯერობით ხუთი გოლი აქვს გატანილი და ბევრის აზრით, „სიონის" 11 ნომერი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშსაც იმსახურებს, თუმცა თავად ჯაბა ამაზე ლაპარაკს ერიდება...

„გული როგორ არ დამწყდება, ნაკრებში მოხვედრა მეც მინდა, მაგრამ ეტყობა, ეს იოლი არაა. კიდევ უნდა მოვუმატო თამაშს" — გვითხრა დვალმა და „სიონის" უჩვეულოდ ძლიერ სტარტზეც თქვა, ბრძოლისუნარიანი გუნდი ვართ, თავის საკეთებელს ყველა ფეხბურთელი აკეთებს, თანაც, ეტყობა, მონდომებითაც ვჯობივართ კონკურენტებსო.

და კონკურენტებზეც: ჯაბას დვალის აზრით, ლიდერთა ჯგუფში მეტ-ნაკლებად თანაბარი გუნდები არიან და ნებისმიერს შეუძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა.

„ჩვენც შეგვიძლია პროგრესი, მაგრამ ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რა მოხდება ზამთარში. მე თბილისის „დინამოს" ვეკუთვნი და ექვსი თვით ვარ განათხოვრებული „სიონში". თუ მეც და ჩემი თანაგუნდელებიც დავრჩით ბოლნისში, მაშინ ჩემპიონობაზე ფიქრი ნაღდად შეიძლება".

კვირას „სიონი" თბილისში „დინამოს" ესტუმრება, მაგრამ ჯაბა დვალი ამ მატჩს შურისძიების თვალით არ უყურებს — მერე რა, რომ „დინამოდან" გამანათხოვრეს... უბრალოდ, „დინამოსთან" მთელ გუნდს სასწაული მოტივაცია ექნებაო.

ჯაბა ბომბარდირობაზეც ფიქრობს, თუმც ეს თვითმიზნად არ დაუსახავს, მთავარია, „სიონმა" მოიგოს და მე გავიტან თუ სხვა, ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებო.

აქვე გეტყვით, რომ „დინამოსთან" მატჩისთვის მოსამზადებლად გუშინწინ ბოლნისელებმა ამხანაგური მატჩი გამართეს „მარნეულთან" და 7:1 მოიგეს, ჯაბა დვალმა კი ერთი გოლი შეაგდო.

**ილია ნანობაშვილი**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

## მაკედონიის ნარინჯისფერი ქულები



AFP ჰელსინკიდან

ფინეთი — ჩეხეთი 0:3. მეორე გოლი მასპინძლებს ტომაშ როსიცკიმ (№10) გაუტანა

**I ჯგუფი**

**ფინეთი 0:3 ჩეხეთი**

**0:1 იუნი (6), 0:2 როსიცკი (51), 0:3 პაინცი (58)**

**ფინეთი:** იასკალაინენი, ჰიიპია, კუივასტო, სარინენი (კოფტეფი 12), კოლკა, პეიკინენი, ლაგერბლომი (ნიმანი 60), ტაინიო, კალიო, იოჰანსონი, სელუნდი (ფორსელი 61)

**მწვრთნელი:** იურკი პელისკო

**ჩეხეთი:** ჩეხი, მარეკი, გრიგერა, როზენპალი, უიფალოში, შმიცერი (პოლაკი 60), გალაშეკი, პობორსკი, როსიცკი (შტაინერი 86), პაინცი, იუნი (კოვაჩი 73)

**მწვრთნელი:** კარელ ბრიუკნერი

**მსაჯი:** მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**ჰოლანდიასთან** წაგებული მატჩის შემდეგ ჩეხებმა ვითარება ჰელსინკში გამოასწორეს და ფინელების ძლევით პლეიოფს უწიეს. რუმინეთი კი ამაოდ ელოდა ფინეთისგან საჩუქარს.

„ეს ურთულესი მატჩი იყო, რადგან აუცილებლად მოგება გვჭირდებოდა — თქვა კარელ ბრიუკნერმა — თავიდან ძალიან ვნერვიულობდით, მაგრამ პირველმა გოლმა წელში გაგვმართა, მეორის შემდეგ კი დავმშვიდდით. მილან ბაროში იმიტომ არ ვათამაშე, რომ საპლეიოფოდ დავასვენე".

ჩეხეთი ტომაშ იუნმა მეშვიდე წუთზე დააწინაურა, მისმა სეხნია როსიცკიმ მეორე ტაიმის დასაწყისში სხვაობა გაზარდა, ხოლო მარეკ ჰაინცმა მესამე მიაყოლა.

**ჰოლანდია 0:0 მაკედონია**

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ბულარუზი, დე იონგი, ოპდამი, ვან ბრონკჰორსტი, მადურო (დავიდსი 64), ლანძაატი (სნეიდერი 46), ვან პერსი (ბაბელი 85), ვან დერ ვაარტი, ვან ნისტელროი, კუიტი

**მწვრთნელი:** მარკო ვან ბასტენი

**მაკედონიას** შეუძლია, დაიტრაბახოს, რომ მხოლოდ მათ შეძლეს ჰოლანდიისთვის ქულების წართმევა. შარშან შემოდგომაზე მან დაუზავდა (2:2) „ნარინჯისფერებს", ამჯერად კი ამსტერდამშიც გაუძალიანდა და არ წააგო.

ვან ნისტელროი და მისი [illegible] იქადნებოდნენ, შარშანდელი ჯავრი უნდა ვიყაროთო, მაგრამ 50 ათასი ქომაგი გოლის მოლოდინში [illegible]ლალა. ერთი კია, რომ მარკო ვან ბასტენის ხელში ჰოლანდიამ [illegible]-მატჩიანი უძლეველი სერია [illegible]ნშალა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ანდორა 0:3 სომხეთი**

0:1 სონეი (39ს.კ), 0:2, 0:3 აკობიანი (52, 61)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 12 | 10 | 2 | 0 | 27:3 | 32 |
| *ჩეხეთი* | 12 | 9 | 0 | 3 | 35:12 | 27 |
| რუმინეთი | 12 | 8 | 1 | 3 | 20:10 | 25 |
| ფინეთი | 12 | 5 | 1 | 6 | 21:19 | 16 |
| მაკედონია | 12 | 2 | 3 | 7 | 11:24 | 9 |
| სომხეთი | 12 | 2 | 1 | 9 | 9:25 | 7 |
| ანდორა | 12 | 1 | 2 | 9 | 4:34 | 5 |

## ოდესღაც ყველაფერი პირველად ხდება

**II ჯგუფი**

**ალბანეთი 0:1 თურქეთი**

0:1 მეტინი (57)

**ყაზახეთი 1:2 დანია**

0:1 გრავგაარდი (46), 0:2 ტომასონი (48), 1:2 კუჩმა (86)

**გაძევება:** ავდეევი (88, ყაზახეთი)

**წაიფილოსოფოსა** ნამატჩევს თურქთა მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა. „იმპერატორად" სახელდებულმა ოსმალოთა თავკაცმა ამ სიტყვებით იმაზე მიანიშნა, რომ ბოლო ოთხ ტირანულ თამაშში თურქებს ალბანელთა ძლევა ერთხელაც ვერ მოეხერხებინათ, პირველი გამარჯვება კი სწორედ გუშინწინდელ მატჩში იზეიმეს. 57-ე წუთზე თუმერ მეტინის მიერ გატანილმა გოლმა თერიმის გუნდს სამი ქულა და პლეი ოფში თამაშის უფლება არგუნა.

არადა მატჩის დასაწყისი თურქებს კარგს არაფერს უქადდათ. ალბანელებმა მძლავრად შეუტიეს სტუმართა კარს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. მე-15 და 23-ე წუთებზე მასპინძელთა ფორვარდ ერიონ ბოგდანს რომ უვარგა, ვინძლო, ბრიგელის გუნდი დაწინაურებულიყო, მაგრამ თურქთა მეკარე ვოლგან დემირელმა ბოგდანს გარჯა წყალში ჩაუყარა. პირველი ტაიმის მიწურულს ალბანელთა კაპიტან იგლი ტარეს შეეძლო გატანა, თუმც მისი ახლო მანძილიდან დარტყმული უზუსტო გამოდგა.

მეორე ნახევარში თურქები გამოფხიზლდნენ და მეტოქის კარისკენაც გაიწიეს. მათ შეტევებს ალბანელ მცველთა შეცდომები მოჰყვა, სწორედ ამით ისარგებლა თუმერ მეტინმა და საჯარიმოს ხაზთან ეულად დარჩენილმა ელიონ ლიკას აუცილებელი დაურტყა.

ჰანს-პეტერ ბრიგელი გერი ჯუნისა და ედვინ მურატის გამოყვანით შეეცადა თამაშის შემობრუნებას, ამ ორმა მართლაც გაამწვავა ალბანელთა შეტევები, მაგრამ თურქები დაცვაში რიგიანად გაისარჯნენ და სამეორეადგილო სამ ქულასაც გამოჰკრეს ხელი.

დანია რომ ყაზახეთს მოუგებდა, დიდად საეჭვო ამბავი არ იყო, მაგრამ ალმათიში მოპოვებული სამი ქულა თუ შეეშველებოდა ჯგუფში მეორე ადგილის დასაკავებლად, საკითხავი ის გახლდათ. დანიელთა ბედი ალბანეთ-თურქეთის მატჩის შედეგზე იყო დამოკიდებული — თურქთა მარცხის ან ფრის შემთხვევაში სკანდინაველები პლეი ოფში გაძვრებოდნენ. დანიამ მოიგო, თუმც მოიგო თურქეთმაც და მორტენ ოლსენის მეტად სიმპათიური გუნდიც მუნდიალის გარეშე დარჩა.

დანიამ კი მოიგო, მაგრამ ალმათური სამი ქულა იოლად ნაღდად არ მოუპოვებია. თამაშის მიწურულს ყაზახთა ფორვარდ ჟუმასკალიევს ცარიელი კარისთვის რომ არ აეცილებია, ყაზახები მორიგ სენსაციურ ქულას მიითვლიდნენ.

მატჩი კი სტუმართა დიდი უპირატესობით დაიწყო და უკვე მე-3 წუთზე იონ დალ ტომასონს შეეძლო ანგარიშის გახსნა, თუმც მასპინძელთა მეკარე იური ნოვიკოვმა მისი უძლიერესი დარტყმული კუთხურზე მოიგერია. ხუთიოდ წუთში კი მიკაელ გრავგაარდის თავური ხარიხას გაუხახუნა. ყაზახებმა დანიელთა ამ სასტარტო შტურმს გაუძლეს და კონტრშეტევებისთვისაც მოიცალეს. ლიტვინენკოს ფლანგურ პასს ირისმეტოვი შეეგება და ათიოდ მეტრიდანაც დაქუხა, თუმც თომას სორენსენს ვერ აჯობა.



ალბანეთი — თურქეთი 0:1. ფათიჰ თერიმი გამარჯვებამ გაახარა

მეორე ნახევრის დასაწყისი პირველის მსგავსი გამოდგა, ოღონდ ერთი განსხვავებით — დანიელებმა ორწუთიან მონაკვეთში ორჯერ მოახერხეს ნოვიკოვის კარის ბადის შერხევა. 46-ე წუთზე ყაზახთა საჯარიმოში მცველთაგან დავიწყებულმა მიკაელ გრავგაარდმა ბურთი ფეხზე მშვიდად მოირგო და ახლო მანძილიდან გაიტანა. ცოტა ხანში კი თავისი გოლი იონ დალ ტომასონმაც შეაგდო — კარიდან სამიოდ მეტრში მღვარის გატანა, ცხადია, არ გასჭირვებია.

მატჩის დასრულებამდე ოთხიოდე წუთით ადრე ვიკინგები მოდუნდნენ, რამაც ყაზახების ხელ-ფეხი გაუხსნა და ტიმოფეევის შეცდომებიც ერთ გოლს გამორჩნენ. 86-ე წუთზე თავი ალექსანდრ კუჩმამ გამოიჩინა.

**სოსო ძოწორეიშვილი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 12 | 7 | 4 | 1 | 18:7 | 25 |
| *თურქეთი* | 12 | 6 | 5 | 1 | 23:9 | 23 |
| დანია | 12 | 6 | 4 | 2 | 24:12 | 22 |
| საბერძნეთი | 12 | 6 | 3 | 3 | 15:9 | 21 |
| ალბანეთი | 12 | 4 | 1 | 7 | 11:20 | 13 |
| საქართველო | 12 | 2 | 4 | 6 | 14:25 | 10 |
| ყაზახეთი | 12 | 0 | 1 | 11 | 6:29 | 1 |

## ამხანაგური მატჩი

## სტუმრად ჰამბურგული



AFP ჰამბურგიდან

რობერტ ჰუტს (მარცხნივ) დე გეისთან ორთაბრძოლისას კინაღამ მაისურა გასძვარა

**გერმანია 1:0 ჩინეთი**

**1:0 ფრინგსი (51პ)**

**გერმანია:** კანი, ფრიდრიხი, მეცელდერი, მერტესაკერი (ჰუტი 46), შვაინშტაიგერი (ჰიტცლშპერგერი 89), ფრინგსი, დაისლერი, ბოროვსკი, ბ. შნაიდერი, პოდოლსკი (კურანი 52), ნოივილი (ოვომოიელა 90)

**მწვრთნელი:** იურგენ კლინსმანი

**ჩინეთი:** ლ. ლი, დუ. ვ. ლი, ჟი, ჟ. სუნი (ვონგი 83), ტ. ლი, ი. ლი, ს. სუნი (ბ. ძენგი 90), შაო (კაო 59), ძენგი (მუ 80), ხაი (დონგი 46; ჟ. ძუ 90)

**მწვრთნელი:** განგჰუ

**მსაჯი:** კარდოსო კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

**48 734 მაყურებელი**

**„ჰამბურგის"** სტადიონზე შეკრებილმა 49 ათასამდე ფანმა გერმანიის ნაკრებს უსტვინა.

„ამჟამად აშკარად კრიზისში ვართ — თქვა იურგენ კლინსმანმა — სტვენასაც ვიმსახურებთ და დაცინვასაც — კონფედერაციათა თასზე კარგი თამაშის შემდეგ დაღმასვლა დაგვეწყო. ეს ლოგიკურია. ხალხი 4:0-სა და 5:0-ს ელოდა, მაგრამ არ გამოვიდა. ფანების კარგად მესმის. ვიმედოვნებ, რომ მომდევნო მატჩზე ტაშს დაგვიკრავენ. მწვრთნელსაც გამოცდილება სჭირდება. კრიტიკას არ გავურბივარ და როცა ჩემი გუნდი ცუდად თამაშობს, სტვენას უნდა შევეგუო".

გერმანიის ნაკრებს კვლავ არ ჰყავდა მიხაელ ბალაკი და მიროსლავ კლოზე. ორწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა კრისტოფ მეცელდერი, რომლის უნიათობის გამო 44-ე წუთზე ჩინელებმა კინაღამ გაიტანეს კიდეც.

პირველ ტაიმში კაპიტანმა კანმა ორჯერ იყოჩაღა, მეორეში კი საქმე არ ჰქონია.

ტორსტენ ფრინგსმა შნაიდერის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა და გერმანია ამის მერე ათი წუთით მოფერიანდა, მაგრამ ბოლოსკენ ისევ მინელდა.

ბუნდესნაკრებმა ბოლო ხუთი მატჩიდან მეორე მოიგო, კონფედერაციათა თასზე ტუნისთან 3:0 გამარჯვების შემდეგ კი პირველად მოხდა, რომ გოლი არ გაუშვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## III ჯგუფი

### სლოვაკეთი 0:0 რუსეთი

**სლოვაკეთი:** ჩონტოფალსკი, კრატოჰვილი, შკრტელი, ზაბალნიკი, ჰადი, კარჰანი (კისელი 67), ჰლინკა, ვალაჰოვიჩი, გოდური (გოლოშკო 56), ნემეტი (დურიცა 83), ვიტეკი
**მწვრთნელი:** დუშან გალისი
**რუსეთი:** აკინფეევი, სენნიკოვი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, სმერტინი, ლოსკოვი, ანიუკოვი (პაველიუჩენკო 81), ბილიალეტდინოვი (სემაკი 58), იზმაილოვი, არშავინი, კერჟაკოვი (კირიჩენკო 67)
**მწვრთნელი:** იური სიომინი
**გაფრთხილება:** ნემეტი, ვ. ბერეზუცკი
**მსაჯი:** როსეტი (იტალია)

„**მიხარია**, რომ ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც გვინდოდა — თქვა სლოვაკთა მწვრთნელმა დუშან გალისმა — ეს იყო უმნიშვნელოვანესი მატჩი არა მარტო ჩემთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. მხოლოდ ის მაღარდებს, გოლი რომ ვერ გავიტანეთ, არადა მომენტები გვქონდა".

საგოლე მომენტები მართლაც ორჯერ შექმნეს მასპინძლებმა, თუმცა იგორ აკინფეევმა ყველა ბურთი მოიგერია. ფილიპ გოლოშკო კი 86-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ გავიდა და უხეიროდ დაარტყა. სლოვაკები დაცვაში საუცხოოდ გაისარჯნენ. იური სიომინმა საიდან არ შემოუარა მეტოქის მცველებს, მაგრამ ამაოდ. ბოლო ათი წუთის განმავლობაში ოთხი ფორვარდი ჰყავდა მოედანზე და აქედანაც არაფერი გამოუვიდა.

დამარცხებულ-დაღონებულთა მწვრთნელმა ნამატჩევს განაცხადა: „ჩანაფიქრი ვერ შევასრულეთ. სლოვაკებმა უშეცდომოდ ითამაშეს. ერთი ხეირიანი მომენტიც კი არ შეგვაქმნევინეს. გასახდელში სამარისებური სიჩუმე იდგა. არავის უნდოდა და ალბათ არც შეეძლო რამის თქმა. საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიტალი მუტკო შემოვიდა და გვითხრა, რომ თავს ზემოთ ძალა არაა. რაც შეეხება ჩემს მომავალს, ეს სხვათა გადასაწყვეტია".

მატჩის დღეს სტუმარ-მასპინძელმა ფანებმა ორჯერ იჩხუბეს — თამაშამდე და თამაშის შემდეგ. პირველ სერიაში დანების ქნევაც იყო და ვილაც-ვილაცეები გაკაწრეს. ბრატისლავის პოლიციამ 37 რუსი მოჩხუბარი დააკავა, რომელთაგანაც 32 რუსთა საელჩოს ჩარევის შედეგად გაათავისუფლეს.

## პაულეტამ ეუსებიოს გადააბიჯა

### სამარისებური სიჩუმე გასახდელში



პედრო პაულეტამ ახალი რეკორდი დაამყარა

### პორტუგალია 3:0 ლატვია

1:0, 2:0 პაულეტა (18, 20), 3:0 უგო ვიანა (85)
**პორტუგალია:** კუინი, ჟ. ანდრადე, მეირა, მიგელი, მანიშე, ტიაგუ, კანეირა, კ. რონალდო (ნუნუ გომეში 46), დეკო, ფიგუ (უგო ვიანა 79), პაულეტა (პოსტიგა 57)
**მწვრთნელი:** ლუიშ ფელიპე სკოლარი

„**აზორის ქარიშხალმა**", პედრო პაულეტამ ეუსებიო არ მოასვენა და ლატვიასთან შესრულებული დუბლით რეკორდი დაამხო. ეუსებიომ 64 მატჩში (1961-1973) 41 გოლი მოაგროვა, პაულეტას კი 42 გაუხდა რვაწლიან სანაკრებო კარიერაში.

პსჟ-ს ფორვარდმა მანიშეს პასით გახსნა ანგარიში, ხოლო ორი წუთის შემდეგ ფიგუს ჩაწოდებული ბურთიც მეტოქის კარში შეაბრძანა. უგო ვიანამ შეხვედრის ბოლოს მესამე მიაყოლა, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ კი ნამატჩევს განაცხადა: „ამ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება შეუძლია. უფრო დაწვრილებით ჩვენს შანსებზე მაშინ ვისაუბრებ, როცა ჯგუფებში გაგვანაწილებენ".

პედრო პაულეტამ რეკორდი თავის ოჯახს მიუძღვნა: „მათ იციან, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის ამ მაისურით გოლების გატანა".

**მაშა ხუციშვილი**

### ლუქსემბურგი 0:2 ესტონეთი

0:1, 0:2 ოპერი (7, 79)

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 12 | 9 | 3 | 0 | 35:5 | 30 |
| *სლოვაკეთი* | 12 | 6 | 5 | 1 | 24:8 | 23 |
| რუსეთი | 12 | 6 | 5 | 1 | 23:12 | 23 |
| ესტონეთი | 12 | 5 | 2 | 5 | 16:17 | 17 |
| ლატვია | 12 | 4 | 3 | 5 | 18:21 | 15 |
| ლიხტენშტაინი | 12 | 2 | 2 | 8 | 13:23 | 8 |
| ლუქსემბურგი | 12 | 0 | 0 | 12 | 5:48 | 0 |

## IV ჯგუფი

### საფრანგეთი 4:0 კვიპროსი

1:0 ზიდანი (29), 2:0 ვილტორდი (31), 3:0 დორასო (43), 4:0 ჟიული (85)
**საფრანგეთი:** კუპე, ბუმსონგი, დორასო, გალასი, სანიოლი, ტურამი, დორასო, ვიეირა (დიარა 25), ვილტორდი (ჟიული 60), ზიდანი, ჯ. სისე
**მწვრთნელი:** რაიმონ დომენეკი

## სტად დე ფრანსი გაირინდა და...

„**სტად დე ფრანსი**", როგორც ყოველთვის, გადაიჭედა, ხალხმა ოთხი გოლი და ორი ამდენი გამოუყენებელი მომენტი ნახა, მერე კი მოლოდინით გაირინდა...

საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო წუთის წინ, ჯგუფში ვითარება ჩახლართული იყო. საფრანგეთის ნაკრების პირველადგილოსნობა შვეიცარიელებზეც იყო დამოკიდებული.

თუ შვეიცარია ირლანდიას ვერ დაამარცხებდა, ფრანგებს ჯგუფში პირველ ადგილზე გასასვლელად ნებისმიერი ანგარიშით მოგება ჰყოფნიდათ, ხოლო თუ შვეიცარია მოიგებდა, მაშინ „ლურჯებს" კვიპროსელები ძალიან დიდი ანგარიშით უნდა დაემარცხებინათ.

თანაფარდობა ასეთი იყო: თუ შვეიცარია ერთი ბურთის სხვაობით მოიგებდა, ფრანგებს ხუთი ბურთით მოგება დასჭირდებოდათ.

ფრანგებმა ოთხი ბურთით მოიგეს და ყურადღება დუბლინისკენ მიაპყრეს, სადაც ბოლო წუთები მიდიოდა, ანგარიში კი 0:0 იყო. იმ ბოლო წუთებში შვეიცარიას გოლი არ უნდა გაეტანა...

ფრანგთა ნაკრებმა, რაკილა ბევრი გოლი სჭირდებოდა, მეტოქე კი სუსტი ჰყავდა, ერთბაშად სამი ფორვარდით ითამაშა — ჯიბრილ სისეს აქეთ-იქიდან სიდნეი გოვუ და სილვინ ვილტორდი შეუწყვილდნენ. ამათ უკან კი პატრიკ ვიეირა, ვიკაშ დორასო და ზინედინ ზიდანი ირჯებოდნენ.

ყურადღება ზიდანზე გავამახვილოთ: ოთხი დღით ადრე შვეიარიასთან უსახური თამაშის მერე ზიდანს ველარ იცნობდით — უფრო სწორად, მასში ისევ იმ ძველ, ჯადოქარ ფეხბურთელს ამოიცნობდით. პირველ წუთებშივე ზიდანს ორი ჩინებული საგოლე შანსი ჰქონდა, რასაც კვიპროსელთა ერთი მწვავე კონტრიერიში, მერე კი იმავე ზიდანის გოლი მოჰყვა.



AFP ფოტო

საფრანგეთი — კვიპროსი 4:0. ლუდოვიკ ჟიული (მარჯვნივ) ზინედინ ზიდანს გოლს ულოცავს

ამის მერე თამაში, არ გაგიკვირდებათ და, ცალკარას დაემსგავსა. სისემ მიძინებული კვიპროსელი მცველებისგან მივიწყებული ვილტორდი მოძებნა და მანაც მეორე გოლი შეაგდო, თუმცაღა სტუმრები ამტკიცებდნენ, ვილტორდი ოფსაიდში იყოო. შესვენებამდე ერთი გოლი დორასომაც გაიტანა, რაც სენეერმენელის პირველი სანაკრებო გოლი გახლდათ.

წესით და რიგით, ფრანგებს მეორე ტაიმში სასურველი ხუთი და მეტბურთიანი სხვაობის მიღწევა არ უნდა გაჭირვებოდათ, მაგრამ ფაქტია — ვერ მოახერხეს. მათი ერთადერთი სამეორეტაიმო მონაგარი დიარა — სისე — ზიდანი — ჟულის ბრწყინვალე კომბინაციით შეგდებული მეოთხე გოლი გამოდგა.

მერე დუბლინიდან სასურველი ცნობა მოვიდა და „სტად დე ფრანსმა" გაიხარა, „ლურჯთა" მწვრთნელმა რაიმონ დომენიკმა კი ფედერაციიდან დადასტურება მიიღო, გენდობით და მუშაობა განაგრძეო.

### ირლანდია 0:0 შვეიცარია

**ირლანდია:** გივენი, კარი, ჰარტი, კანინგენი, დანი, ჰოლანდი, ე. რიდი (ს. რიდი 80), ოში, მორისონი (დოჰერტი 87), რობი კინი (ელიოტი 68), კილბეინი
**მწვრთნელი:** ბრაიან კერი
**შვეიცარია:** ცუბერგიულერი, ფოგელი, მანინი, კაბანასი, ბარნეტა (ჟიგა 89), ვიკი, მიულერი, ფონლანტენი (შტრელერი 53), დეგენი, სენდეროსი, ფრეი
**მწვრთნელი:** კობი კუნი
**გაფრთხილება:** დანი, ე. რიდი, ვიკი, კაბანასი
**მსაჯი:** მარკუს მერკი (გერმანია)

**ზემოთ** უკვე მოგახსენეთ, შვეიცარიას ჯგუფში პირველ ადგილზე გასასვლელად, დუბლინში უეჭველად მოგება სჭირდებოდათ. ასეც იყო, მაგრამ ირლანდიელებისაც ვკითხოთ — მოგების შემთხვევაში კუნძულელები პლეი ოფში ხვდებოდნენ, იქიდან კი, ვინ იცის, ეგებ მუნდიალზეც გამგზავრებულიყვნენ. ამით ხაზგასმა გვინდა — ორივე გუნდისთვის ამ მატჩის შემდეგს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა და იმთავითვე ცხადი იყო, ბრძოლა სამკვდრო იქნებოდა.

სწორედ ამ დაძაბულობის და ზღვარგადასული ნერვიულობის ბრალი გახლდათ, რომ სანახაობრივ თამაში დიდი ვერაფერი შვილი იყო; გამოსარჩევი კი ორიოდ მომენტი გახლდათ: 88-ე წუთზე ტრანვილიო ბარნეტამ რვა მეტრიდან აცილა, თორემ ჯგუფში პირველზე შვეიცარია გავიდოდა, საფრანგეთი კი — მეორეზე. ხოლო მასპინძლებს საუკეთესო მომენტი მე-2 წუთზე შეექმნათ, როცა ტოტენჰემელმა ენდი რიდმა საგოლე პოზიციაზე იან ჰარტი გაიყვანა, მან კი ვერ ივარგა.

„ეს ჩვენთვის საშინელი იმედგაცრუებაა — თქვა ნამატჩევს ირლანდიელთა მენეჯერმა ბრაიან კერმა — მაგრამ ეს გუნდის ბრალი არ არის. ბიჭებმა თავი დადეს და ყველაფერი გაიღეს მოსაგებად".

ისე როგორ იქნებოდა, ჟურნალისტებს კერისთვის გადადგომაზე არ ჩამოეგდოთ სიტყვა, რაზეც მან უპასუხა: „ამ წუთს მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვთქვა — რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე".

შვეიცარიელთა მწვრთნელმა კობი კუნმა კი თქვა: „ორმაგი განცდა მაქვს. ერთი მხრივ, მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერთი გოლი გვაშორებდა, რომელიც ვერ გავიტანეთ, რითაც იმედგაცრუებული ვარ. მეორე მხრივ კი, ბრძოლას ვაგრძელებთ და ახლა, პლეი ოფისთვის მობილიზება გვმართებს".

**ირაკლი ნინიძე**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 10 | 5 | 5 | 0 | 14:2 | 20 |
| *შვეიცარია* | 10 | 4 | 6 | 0 | 18:7 | 18 |
| ისრაელი | 10 | 4 | 6 | 0 | 15:10 | 18 |
| ირლანდია | 10 | 4 | 5 | 1 | 12:5 | 17 |
| კვიპროსი | 10 | 1 | 1 | 8 | 8:20 | 4 |
| ფარერები | 10 | 0 | 1 | 9 | 4:27 | 1 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

## დელ პიეროს იშვიათი საღამო

**V ჯგუფი**

**იტალია 2:1 მოლდოვა**

**1:0 ვიერი (70), 1:1 გაცკანი (75), 2:1 ჯილარდინო (85)**

**იტალია: დე სანქტისი, ძაკარდო, დიანა, ბარონე, დე როსი, გროსო (ძამბროტა 62), მატერაცი, ბონერა (ბლაზი 46), დელ პიერო, იაკინტა (ჯილარდინო 68), ვიერი**

**მწვრთნელი: მარჩელო ლიპი**

**მარჩელო ლიპიმ** დანაპირები შეასრულა და წინა მატჩთან შედარებით 10 მოთამაშე შეცვალა. ერთადერთი, ვინც სლოვენიური შემადგენლობიდან ისევ ძირითადში იყო, პალერმოელი ფაბიო გროსია. შეტევაში კი სამი ფეხბურთელი გახლდათ გამწესებული — წინ წაწეული წყვილის ვიერი — იაკინტას უკან ალექს დელ პიერო წრიალებდა.

ეს მატჩი ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ტურინელისთვის გახლდათ, რომელიც კაპიტნის როლშიც მოგვევლინა. მისი მუნდიალზე წასვლა საეჭვოა და მოლდოვასთან თამაში დელ პიეროსთვის ერთ-ერთი უკანასკნელი შანსი იყო. ვეტერანმა თავდამსხმელმაც ძალიან მოინდომა და მიუხედავად იმისა, რომ გოლი არ გაუტანია, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს და მყისვე ორი მომენტი შეექმნათ, მაგრამ ამაოდ. შესვენებამდე „სკუადრა აძურას" კიდევ მრავალი შანსი ჰქონდა, განსაკუთრებით კრისტიან ვიერის. ხოლო სტუმრებმა მხოლოდ ერთი რეალური მომენტი შექმნეს — დე სანქტისმა კოვალჩუკის სახიფათო დარტყმა გააუვნებლა.

მეორე ტაიმი 70-ე წუთამდე იგივე სცენარით გაგრძელდა. აპენინელები უტევდნენ და ბევრ მომენტს ქმნიდნენ, გოლი კი არ ჩანდა. რამდენიმე შანსი მიეცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უაღრესად აქტიურ დელ პიეროს, რომელსაც ლეჩეში „ვია დელ მარიზე" შეკრებილი ქომაგები მთელი მატჩის განმავლობაში ამხნევებდნენ და აპლოდისმენტებს არ იშურებდნენ. იუვენტუსელი კი პარალელურად მშვენიერ პასებს არიგებდა, მაგრამ გამტანი არ ჩანდა.

71-ე წუთზე ლიპის შეგირდებმა ნავსი გატეხეს — დელ პიერომ ფლანგზე ორი მცველი ჩამოიშორა, რასაც ძალიან ზუსტი კროსი მოჰყვა და კრისტიან ვიერიმაც ბურთი ცარიელ კარში შეაბრძანა. თუმც მასპინძლებს ნანატრი გოლით გახარება ხუთი წუთითაც არ დასცალდათ — გაცკანს მშვენიერ დარტყმას დე სანქტისმა ვერაფერი მოუხერხა.

„სკუადრა აძურა" არ დაბნეულა და ბოლომდე შეტევებში თამაში განაგრძო, რამაც შედეგი 85-ე წუთზე გამოიღო, როდესაც შეცვლაზე შესულმა ალბერტო ჯილარდინომ აიმო დიანას პასი დაამუშავა და ლამაზი დარტყმით დამსახურებული გამარჯვება მოუტანა იტალიას.

„საკუთარი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. კარგი იქნებოდა, გოლიც გამეტანა, მაგრამ არა უშავს მთავარია, 90 წუთი ვითამაშე და მოვიგეთ. დიდი მადლობა ლეჩეს ხალხს, რომლებიც გვერდზე დამიდგნენ" — განაცხადა დელ პიერომ.

მარჩელო ლიპი: „დელ პიერომ [illegible] მატჩი ჩაატარა, რაც ქომაგებმაც დააფასეს. ვისურვებდი, ალექსმა ასე ისევ ხშირად ითამაშოს და არა მხოლოდ საგანგებო შეხვედრებში. გოლების გატანა მნიშვნელოვანი გახლდათ ვიერისა და ჯილარდინოსთვისაც. ერთი სიტყვით, კმაყოფილი ვარ შედეგითაც და თამაშითაც."

ჯგუფის დანარჩენ მატჩებში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ერთადერთი სლოვენიის მარცხს (თანაც სამი ბურთის სხვაობით) უმოტივაციო შოტლანდიასთან ალბათ ცოტა თუ ელოდა. როგორც ჩანს, სლოვენიელებმა იცოდნენ, რომ ბელარუსი ნორვეგიის გამჩერებელი არ იყო და თავი აღარ მოიკლეს. პრინციპში ასეც მოხდა, სკანდინაველებს მინსკში უპრობლემო ექსკურსია არ ჰქონიათ, მაგრამ საწადელს მაინც მიაღწიეს და პლეი-ოფში თამაშის უფლება მოიპოვეს.

**კოკი კანდელაკი**



იტალია — მოლდოვა 2:1. მასპინძელთა რიგებში ალესანდრო დელ პიერო საუკეთესო იყო

**სლოვენია 0:3 შოტლანდია**

0:1 ფლეტჩერი (4), 0:2 მაკფადენი (47), 0:3 ჰარტლი (84)

**ბელარუსი 0:1 ნორვეგია**

0:1 ჰელსტადი (71)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 10 | 7 | 2 | 1 | 17:8 | 23 |
| ნორვეგია | 10 | 5 | 3 | 2 | 12:7 | 18 |
| შოტლანდია | 10 | 3 | 4 | 3 | 9:7 | 13 |
| სლოვენია | 10 | 3 | 3 | 4 | 10:13 | 12 |
| ბელარუსი | 10 | 2 | 4 | 4 | 12:14 | 10 |
| მოლდოვა | 10 | 1 | 2 | 7 | 5:16 | 5 |

## ინგლისმა ივარგა

**VI ჯგუფი**

**ინგლისი 2:1 პოლონეთი**

**1:0 ოუენი (43), 1:1 ფრანკოვსკი (45), 2:1 ლამპარდი (80)**

**ინგლისი: რობინსონი, კინგი, კარაგერი, იანგი, ფერდინანდი, ტერი, შ. რაიტ-ფილიპსი (კრუჩი 66), ლამპარდი, ჯო კოული (სმიტი 86), ოუენი (ჯენასი 83), რუნი**

**მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი**

**პოლონეთი: ბორუჩი, ბაჟინსკი, კოსოვსკი, ბაკი, იოპი, სობოლევსკი (რადომსკი 78), სმოლარეკი (ბოშაცკი 45), ჟურავსკი (ფრანკოვსკი 38), ლევანდოვსკი, ჟევლაკოვი, რასიაკი**

**მწვრთნელი: პაველ იანასი**

**გაფრთხილება: ბაჟინსკი, სობოლევსკი**

**მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)**

**65 467 მაყურებელი**

**უეინ რუნი** კვლავ გამოჩნდა ინგლისის ნაკრებში, რათა თავისი გუნდი ჯგუფში პირველ ადგილზე გაეყვანა, ხოლო ხალხისთვის კიდევ ერთი დასამახსოვრებელი შოუ ეჩუქებინა.

ინგლისმა საბოლოოდ 2:1 მოუგო პოლონეთს და ის ხალხი, ვინც შაბათს, ავსტრიასთან მატჩისაგან ნამდვილ სანახაობას მოითხოვდა, კმაყოფილი დარჩა. რუნის ენთუზიაზმი იმგვარი იყო, რომ ინგლისს ბევრი გოლი უნდა გაეტანა.

კაპიტნად იყო მაიკლ ოუენი, რომელმაც პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა ანგარიში. ჯო კოულის დარტყმულს ჭკვიანურად წაამატა. თუმცა, ანგარიში ძალიან მალე გათანაბრდა, ტომაშ ფრანკოვსკიმ ძირს დაუშვებლად დაარტყა.

გადამწყვეტი იყო ფრენკ ლამპარდის გოლი, რომელიც თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე გავიდა, ჩვეულ ლამპარდულ სტილში. ოღონდაც, ინგლისმა მართლაც დატანჯა პოლონელთა მეკარე არტურ ბორუჩი.

გოლები არა მარტო ოუენს, რუნის და ლამპარდს უნდა გაეტანათ, არამედ ლედლი კინგსაც.

საბოლოო ჯამში კი ყველანი ძალიან კმაყოფილები დარჩნენ.

რახან თამაში არხეინი იყო და ორივე გუნდს თავი ქულში ჰქონდა, სანახაობაც კარგი აეწყო.

სვენ გორან ერიკსონმა თქვა: „თუ ამ სულს შევინარჩუნებთ, ჩვენი წაქცევა შეუძლებელი იქნება. ამ თამაშით, ძალიან კმაყოფილი ვარ. პოლონელებს ერთი შანსი ჰქონდათ და გამოიყენეს. ჩვენი შანსების დათვლა ძალიან ძნელია, ბევრი იყო"

მენეჯერმა აქო ყველა, შონ რაიტ-ფილიპსით დაწყებული, პიტერ კრაუჩით დამთავრებული (ამ უკანასკნელს პირველად ეცვა ნაკრების სამოსი).

დასასრულს ერიკსონმა თქვა, ჩემი გუნდი ამტკიცებს, რომ საფეხბურთო მსოფლიოს მეფობა შეუძლიაო. ვნახოთ...

სამიოდე კვირის წინ ინგლისური მედია ერთხმად მოითხოვდა შვედის გადადგომას.

**ირაკლი გამყრელიძე**



ინგლისი — პოლონეთი 2:1. მაიკლ ოუენმა თავისი გოლი მაინც შეაგდო

**უელსი 2:0 აზერბაიჯანი**

1:0, 2:0 გიგზი (3, 53)

**ავსტრია 2:0 ჩრდ. ირლანდია**

1:0, 2:0 აუფჰაუზერი (44, 90)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 10 | 8 | 1 | 1 | 17:5 | 25 |
| პოლონეთი | 10 | 8 | 0 | 2 | 27:9 | 24 |
| ავსტრია | 10 | 4 | 3 | 3 | 15:12 | 15 |
| ჩრდ. ირლანდია | 10 | 2 | 3 | 5 | 10:18 | 9 |
| უელსი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:15 | 8 |
| აზერბაიჯანი | 10 | 0 | 3 | 7 | 1:21 | 3 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

## კეჟმანმა სერბეთი გაიყვანა და ესპანეთი ჩააგდო

**VII ჯგუფი**

**სერბეთი 1:0 ბოსნია**

1:0 კეჟმანი (5)

**სერბეთი:** იევრიჩი, ბიდიჩი, დულიაი, კრსტაიჩი, გავრანჩიჩი, კორომანი, ნადი (ილიჩი 74), ჯორჯევიჩი, ვუკიჩი (მლადენოვიჩი 67), ჟიგიჩი, კეჟმანი (ლუკოვიჩი 88)

**მწვრთნელი:** ილია პეტკოვიჩი

**ბოსნია:** ჰასაგიჩი, ბერბეროვიჩი, მუსიჩი (ბესლია 66), სპაჰიჩი, ბაირამოვიჩი, მილენკოვიჩი, გრლიჩი (ბარტოლოვიჩი 46), იაკიროვიჩი, სალიჰამიჯიჩი, ბოლიჩი (მისიმოვიჩი 71), ბარბარესი

**მწვრთნელი:** ბლაჟ სლიშკოვიჩი

**გაფრთხილება:** კორომანი, ვუკიჩი, ვიდიჩი, მილენკოვიჩი, ჰასაგიჩი

**გაძევება:** ვიდიჩი (85)

**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)



სერბეთი — ბოსნია 1:0. მატეა კეჟმანმა (მარცხნივ) თავის გუნდს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა

**ბოსნიის** ნაკრებთან საშინაო ჯახში გამარჯვების შემდეგ სერბეთის ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური გაინაღდა. „ცრვენა ზვეზდას" არენაზე გადამწყვეტი ბურთი მადრიდის „ატლეტიკოს" ფორვარდმა მატია კეჟმანმა შეაგდო. მატჩის ბედი თამაშის დაწყებისთანავე გადაწყდა — მეხუთე წუთზე კეჟმანმა ნიკოლა ჟიგიჩის კარგი პასით ისარგებლა და სტუმრების მეკარე ჰასაგიჩს შეხვედრის ერთადერთი გოლი გაუტანა.

სერბებს ანგარიშში დაწინაურება ამის შემდეგაც არაერთხელ შეეძლოთ, თუმცა მე-20 და 35-ე წუთებზე ხელსაყრელი მომენტებისას გუნდის კაპიტან კრსტაიჩის დარტყმები არაზუსტი გახლდათ. ბოსნიელთათვის მეზობლებთან ჯახში აღებული 3 ქულა სულ მცირე, პლეი ოფში მოხვედრას მაინც ნიშნავდა, თუმცა ბლაჟ სლიშკოვიჩის ბიჭებმა ფრიად უფერულად იასპარეზეს.

პირველ ტაიმში მოიჩხვდურებს მეტოქის კარებთან არანაირი ხიფათი არ შეუქმნიათ, რაშიც ლომის წილი მასპინძელთა „რკინის" დაცვამ დაიდო. გავიხსენოთ, რომ სერბეთმა მთელი შესარჩევების განმავლობაში ერთადერთხელ გაუშვა გოლი და ისიც სტუმრად ესპანეთის ნაკრებთან...

შესვენების მერე „ცრვენა ზვეზდაზე" უპირატესობას ისევ დამხვდურები ფლობდნენ. ბოსნიას თავის გამოჩენა მხოლოდ ერთხელ შეეძლო — ვედინ მუსიჩმა 30 მეტრიდან ძლიერად გაისროლა, თუმცა სერბთა გოლკიპერი იევრიჩი ბურთს ადგილზე დახვდა.

საბოლოოდ ანგარიში აღარ შეცვლილა და ბელგრადის სტუმრებიც მუნდიალზე მოხვედრის შანსს დაემშვიდობნენ. შეხვედრას ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია — სტადიონზე ატეხილი ჩხუბის დროს სერბმა გულშემატკივრებმა ბოსნიელ ფანებს მწარედ ურტყეს. მედიის ცნობით, 17 კაცია დაშავებული, აქედან 6 ფრიად მძიმედ...

**სან მარინო 0:6 ესპანეთი**

0:1 რაული (1), 0:2 ფ. ტორესი (10), 0:3, 0:4 რამოსი (30, 47), 0:5, 0:6 ფ. ტორესი (77, 87)

**ესპანეთი:** კასილიასი, პაბლო, ლოპესი, სერხიო, ალბელდა, დე ლა პენია, ხუანიტო, რეიეს (ხოაკინი 68), ვილა (ბარახა 58), რაული (მისტა 72), ფ. ტორესი

**მწვრთნელი:** ლუის არაგონესი

**აუტსაიდერთან** ხუთბურთიანი სხვაობით მოგების შემთხვევაში ესპანეთს შეეძლო, ჯგუფის ლიდერიც გამხდარიყო, ოღონდ მაშინ პარალელურ ჯახში სერბეთს არ უნდა გაემარჯვა. ლუის არაგონესის შეგირდებმა სან მარინო გააცამტვერეს, თუმცა ბელგრადში ბოსნიამ ვერ ივაჟკაცა და პირენეელებსაც მუნდიალზე მოსახვედრად პლეი ოფში მოუწევთ ჯახირი. პირველი გოლი ანტონიო ლოპესმა გაიტანა, მერე ატლეტიკოელმა ფერნანდო ტორესმა (იმ დროს „ცრვენა ზვეზდას" ტაბლოზე სხვა „ატლეტის", კეჟმანის წყალობით უკვე კასტილიელთათვის არასასურველი 1:0 ენთო). შემდეგ კი „ესტადიო ოლიმპიკოზე" წყვილ-წყვილად სერხიო რამოსმა და ისევ ტორესმა იხეირეს. კასტილიელებს ამ 0:6-მა მაინც ვერ უშველათ და მათი სამუნდიალო ბედიც დამატებით რაუნდებში გაირკვევა.

„ლიტვასთან ის საშინელი ფრე გავიხსენოთ, ან ბოსნიასთან ვერმოგებული ორი თამაში, ანაც „კალდერონიდან" წაუგებლად გამძვრალი სერბეთი — აბა, რა გვეგონა, ამდენ შანსს ხელიდან რომ ვუშვებდით" — დაიჩივლა გუშინ ესპანურმა „მარკამ".

**ლიტვა 1:1 ბელგია**

0:1 გერეტსი (17), 1:1 დეშახტი (38ს.კ.)

**გერმანია** 2006-ის შესარჩევის ბოლო ტურში ბელგიელების ვილნიუსში ვიზიტი იქაურ ნაკრებთან ფრედ, 1:1 დამთავრდა. ლიტველები ჯგუფის მეხუთე ადგილზე ჩარჩნენ, თუმცა „წითელ ეშმაკებთან" მიღწეული ზავით ზედიზედ ოთხმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტეს.

ანგარიში მე-17 წუთზე გაიხსნა — კარელ გერეტსის მარჯვენა ფლანგიდან შეტევას მისივე აულებელი დარტყმაც მოჰყვა. საპასუხო გოლი მასპინძლებმა შესვენებამდე შეაგდეს. მცველმა სტანკიავიჩუსმა მეტოქის საჯარიმოზე ბურთი აუტიდან ჩაჰკიდა, იქ კი დეშახტმა ყველას დაასწრო და ავტოგოლით „იხეირა".

მეორე ტაიმში უფრო სტუმრები აქტიურობდნენ, თუმცა ტაბლოზე საბრძოლო 1:1 აღარ შეცვლილა. როგორც ბალტიელებს, ისევე „ეშმაკებს" გერმანიაში წასვლის შანსები 12 ოქტომბრის შეხვედრამდეც დაკარგული ჰქონდათ.

**ლადო ხომერიკი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 10 | 6 | 4 | 0 | 16:1 | 22 |
| *ესპანეთი* | 10 | 5 | 5 | 0 | 19:3 | 20 |
| ბოსნია | 10 | 4 | 4 | 2 | 12:9 | 15 |
| ბელგია | 10 | 3 | 3 | 4 | 16:11 | 12 |
| ლიტვა | 10 | 2 | 4 | 4 | 8:9 | 10 |
| სან მარინო | 10 | 0 | 0 | 10 | 2:40 | 0 |



შვედეთი — ისლანდია 3:1. სკანდინავიელებს 2006 წლის მუნდიალზე მოხვედრა უხარიათ

# ზედიზედ მეოთხედ

**VIII ჯგუფი**

**შვედეთი 3:1 ისლანდია**

0:1 არასონი (25), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (28), 2:1 ლარსონი (42), 3:1 კალსტრიომი (90)

**„თითქმის"** დაუჯერებელია, რომ ზედიზედ მეოთხედ ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავდივართ — თქვა შვედთა თავკაცმა ლარს ლაგერბეკმა — გუნდს იმპროვიზაციის კარგი უნარი აქვს, მაგრამ ზოგიერთი კომპონენტი დასახვეწია".

ისლანდიელმა კარი არნასონმა დაახლოებით 30 მეტრიდან უმძლავრესი დარტყმით გაიტანა და მასპინძელთა ქომაგები გააოგნა, თუმცა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ხუთ წუთში გაათანაბრა. პირველი ტაიმის მიწურულს „იუვეს" ფორვარდმა საუცხოო პასით სტუმართა დაცვა უსაქმოდ დატოვა და ჰენრიკ ლარსონმა შვედეთი დააწინაურა.

„არაჩვეულებრივი პასი იყო" — ლარსონმა ნამატჩევს იბრაჰიმოვიჩი შეაქო. შეცვლაზე შესულმა კიმ კალსტრიომმა კი ბოლო წუთზე მესამე გოლით „დაასაჩუქრა" ისლანდიელები.

**უნგრეთი 0:0 ხორვატია**

**ხორვატებს** გერმანია განაღდებული ჰქონდათ და ბუდაპეშტში ჯანი დაზოგეს. უნგრელები კი მოგების შემთხვევაში მესამე ადგილზე გადადიოდნენ, რაც ლოთარ მათეუსს აქტივში ჩაეწერებოდა, მაგრამ უფხოდ ითამაშეს. ბოშკო ბალაბანს პირველი ტაიმის ბოლოს შეეძლო ანგარიშის გახსნა, თუმცა გაბორ კირალიმ არ დაანება.

შესვენების შემდეგ ბალაბანმა კიდევ სცადა — ამჯერად ძელს შეაწყვიტა ბურთი, ხოლო შეხვედრის მიწურულს იგივე გაიმეორა უნგრელმა ბარანიოშმა.

**მალტა 1:1 ბულგარეთი**

0:1 იანკოვი (67), 1:1 ბარბარა (77)

**მალტა** ის გუნდია, რომელმაც სექტემბერში შინ ხორვატიასთან ფრე გააზერხა და ამჯერად ბულგარელებიც ქულით გაისტუმრა. ხრისტო სტოიჩკოვს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს მოსალევი და ამიტომ ტრიბუნიდან ნახა თავის ფეხბურთელების უსუსური თამაში. დიმიტარ ბერბატოვმა პირველ ტაიმში გაიტანა, მაგრამ ოფსაიდის გამო არ ჩაუთვალეს. სამაგიეროდ ჩავდარ იანკოვს ჩაუთვალეს მეორე ნახევარის შუაში გატანილი. მალტელებმა შეცვლაზე შესული ეტიენ ბარბარას გოლით გაიხარეს, რომელიც კლუბში („ბირკირკა") ზოგჯერ სხვადასხვა ფერის ბუცებით თამაშობს.

**მაშა ხუციშვილი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 10 | 7 | 3 | 0 | 21:5 | 24 |
| *შვედეთი* | 10 | 8 | 0 | 2 | 30:4 | 24 |
| ბულგარეთი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:17 | 15 |
| უნგრეთი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:14 | 14 |
| ისლანდია | 10 | 1 | 1 | 8 | 14:27 | 4 |
| მალტა | 10 | 0 | 3 | 7 | 4:32 | 2 |

## ლე ტალეკის კნავილი

**„სანდერლენდის"** ფრანგ ლეგიონერ ანტონი ლე ტალეკს გუნდი არ მოსწონს. საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი რაფაელ ბენიტესმა „სანდერლენდს" ერთი სეზონით ათხოვა, გამოიწრთობი და მომავალ ზაფხულს „ლივერპულში" დაგაბრუნებო. ლე ტალეკს უკვე მოსწყინდა მიკ მაკარტისთან ყოფნა და „შავი კატებიდან" წასვლას ლამობს. მას პსჟ-ში გადასვლის ვარიანტი გამოუჩნდა, ამიტომ შესაძლოა, სამშობლოს მიაშუროს.

„სანდერლენდში" ორი გოლის გატანა კი მოასწრო, მაგრამ ვითარება გულზე არ ეხატება: „ძალიან ძნელია აქ ყოფნა. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ მხოლოდ ერთი წელიწადი უნდა დავრჩე. ზოგჯერ შეტევაში თამაში მენატრება, რადგან ტაქტიკის გამო სულ დაცვაში ვართ. „ლივერპულში" სხვაგვარად იყო. იქ შეტევის და გოლის გატანის მეტი შანსი მქონდა. ყელში ამომივიდა გუნდიდან გუნდში ხეტიალი. აღარ მინდა, რომ სადმე გამანათხოვრონ. რომელიმე კლუბში დამკვიდრება მსურს. შეიძლება, პსჟ-ში გადავიდე ეგებ იქ ვიპოვო ჩემი ადგილი".

**მაშა ხუციშვილი**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

**XVIII ტური**

**ურუგვაი 1:0 არგენტინა**

1:0 რეკობა (46)

**ბრაზილია 3:0 ვენესუელა**

1:0 ადრიანო (28), 2:0 რონალდო (51), 3:0 რ. კარლოსი (63)

**პარაგვაი 0:1 კოლუმბია**

0:1 რეი (7)

**პერუ 4:1 ბოლივია**

1:0 ვასალიო (10), 2:0 არიადელა (38), 3:0 ფარფანი (45), 3:1 გუტიერესი (66), 4:1 ფარფანი (82)

გაძევება: როდრიგესი (74, პერუ), გუტიერესი (74, ბოლივია)

**ჩილე 0:0 ეკვადორი**

## ავსტრალიასთან ურუგვაი იომებს



AFP

ურუგვაი — არგენტინა 1:0. ალვარო რეკობამ (შუაში) შესვენებაზე ტრუსები იღბლიანად გაისწორა

**ოთხშაბათს**, გვიან ღამით, სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში ყველაფერი გაირკვა. როგორც იქაურთა ფეხბურთის სჩვევია, გათამაშების სტარტიდან ფინალამდე გუნდებმა თავიანთი ინჩასობა დაძაბულად ამყოფეს. მონტევიდეოში ურუგვაიმ არგენტინის ნაკრებს მოუგო და ამით კოლუმბიას ასუნსიონში პარაგვაისთან ფიესტა წყალში ჩაუყარა — მუნდიალზე მოსახვედრად. ავსტრალიასთან პლეი ოფში სწორედ ხორხე ფოსატის „სელესტე“ ითამაშებს. თავის მხრივ, ბრაზილიამ ვენესუელა შინ დაამარცხა და „მარადიული მტრის“ არგენტინის საწყენად, ჯგუფის ლიდერობაც მოირგო.

„ესტადიო სენტენარიოზე“ გმირად ალვარო რეკობა მოგვევლინა. ურუგვაელმა მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე რიჩარდ მორალესის გადაცემა გოლად აქცია. სტუმრები ბევრს ეცადნენ ანგარიში გაექვითათ, თუმცა ამაოდ — 16-წლიანი შესვენების შემდეგ „სელესტემ“ მრისხანე მეზობელს ისტორიული ჯახი მოუგო. გახარებულმა ადგილობრივმა ინჩასებმა მონტევიდეოში დიდი ზეიმი გამართეს.

„გამარჯვებისთვის იოლად არ მიგვიღწევია. არგენტინელებმა მატჩის ბოლომდე შეუპოვრად იბრძოლეს, თუმც თავდადებისა და უშეცდომოდ თამაშის გამო საჭირო სამი ქულა მაინც ჩვენთან დარჩა“ — უთხრა მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს მასპინძელთა ვარსკვლავმა დიეგო ფორლანმა.

პატაგონიელთა ეროვნული გუნდი კი გასვლით შეხვედრებში მესამეჯერ დამარცხდა. ხოსე პეკერმანის ნაკრების წაგებას ბრაზილიელების ჯგუფში პირველადგილოსნობაც ამწვავებს.

„ურუგვაისთან ჩვენი მიზანი მხოლოდ მოგება იყო. უბრალოდ, სახიფათო ეპიზოდების დროს ბიჭებს სიზუსტემ უმტყუნათ. მეტოქემ თავისი საქმე გააკეთა, ერთი გოლი შეაგდო, დაცვაში მყარად ჩაჯდა და თამაშიც მოიგო. ფოსატის გუნდთან ბოლო წაგების მიუხედავად, ვთვლი, რომ გერმანია 2006-ის შესარჩევებში მაინც კარგად ვიბურთავეთ“ — აღნიშნა მედიასთან საუბარში ხოსე პეკერმანმა, არგენტინელთა დამრიგებელმა.

ლუის რეის მიერ მეშვიდე წუთზე პარაგვაისთან გატანილმა გოლმა კოლუმბიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის იმედები გაუმტკიცა. თუმც მიუხედავად იმისა, რომ რეინალდო რუედას შეგირდებმა სასურველი ანგარიში მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს, პლეი ოფში საომრად არგენტინასთან გამარჯვებული ურუგვაი წავიდა...

კოლუმბიელები ორჯერ მიჯრით დარჩნენ მუნდიალის გარეთ და, ცხადია, დანა კბილს არ უხსნიდათ — პრესასთან გასაურებაზე მწვრთნელიან-ფეხბურთელებიანად ყველამ უარი განაცხადა. პარაგვაის 12 ოქტომბრის მატჩამდე ჰქონდა გერმანიის საგზური განაღდებული, ამიტომაც თავი არ შეუწუხებია. ამან მასპინძელთა ფანობა გააბრაზა და მათ მოედანზე ბევრი ბოთლი და საგანი ისროლეს...

„ცალკეული განაწყენებული კაცის გინება ხასიათს ვერ გამიფუჭებს. ვიცი, რომ მსოფლიოს პირველობაზე გავედით, დანარჩენი კი უკვე მეორეხარისხოვანია“ — განაცხადა პარაგვაის მხნე თავკაცმა ანიბალ რუისმა.

შესარჩევის ბოლო შეხვედრამდე ავსტრალიასთან ორრაუნდიან ჯახში მოხვედრა ჩილესაც შეეძლო, თუმცა „წითლების“ ფიესტა ურუგვაის და კოლუმბიის ვერმოგებას უნდა გაეძლიერებინა. არც ერთი მოხდა, არც მეორე და არც მესამე. ურუგვაი კოლუმბიისა უკვე ვიცით, ჩილემ კი ეკვადორთან უმწეო 0:0 ითამაშა. ამრიგად, ნელსონ აკოსტას მოწაფეები ჯგუფში მე-7, წამგებიან ადგილზე გაიჭედნენ.

„მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. რასაც ვერ მივაღწიე, ცუდ ბედს ვაბრალებ. ინჩასების წინაშე ბოდიშს ვიხდი, შესარჩევი ციკლი ეკვადორთან მოგებით უნდა დაგვემთავრებინა“ — თქვა ჩილელთა თავკაცმა.

აკოსტას მეტოქეს კი არაფერი ჰქონდა საბოდიშო-სამწუხარო, ეკვადორი მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ზედიზედ მეორედ გადის.

ბრაზილიის ნაკრები მუნდიალს ღირსეულად მიაკითხავს. მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონებმა არგენტინის ურუგვაისთან დაცემით ისარგებლეს, სუსტი ვენესუელა 3:0 გაანადგურეს და საპირველადგილო კარნავალიც გამართეს. გოლსდანატრებულმა რონალდომაც (შესარჩევებში 2004-ის 9 ოქტომბრის მერე არ გაეტანა) თავისი ბურთი შეაგდო.

„ძალიან მიხარია, რომ გატანაც შევძელი და გუნდმაც მოიგო. [illegible] რომა ნუ ქნას, ასეთი პაუზა კიდევ მქონდეს“ — თქვა [illegible].

მის გარდა სტუმრების კარი ადრიანომ და რობერტო კარლოსმა დალაშქრეს.

„კარგი თამაში იყო, თუმც პირველ ტაიმში მოედანზე სწრაფად გადაადგილება გვაკლდა. საერთოდ კი, რასაკვირველია, კმაყოფილი ვარ“ — განაცხადა პენტაკამპეონების დამრიგებელმა კარლოს ალბერტო პარეირამ.

ბრაზილიის მიერ განადგურებულმა ვენესუელა „ბელემიდან“ მაინც თავაწეული გაემგზავრა — მათთვის შესარჩევებში მე-8 ადგილიც მიღწევაა.

ჯგუფის აუტსაიდერი ბოლივია მასზე ერთი პოზიციით წინ მდგომ პერუს ესტუმრა და 4:1 წააგო. დასასრულს ერთი საინტერესო დეტალიც აღვნიშნოთ — სამხრეთამერიკელები ზუსტად იმავე წყობით გავიდნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე, როგორც წინა, კორეა-იაპონიის მუნდიალისას. ბრაზილია, არგენტინა, პარაგვაი და ეკვადორი პირდაპირი საგზურით, ხოლო ხორხე ფოსატის „სელესტე“ ავსტრალიასთან სავარაუდო მოგების მერე.

**ლადო ხომერიკი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 18 | 9 | 7 | 2 | 35:17 | 34 |
| არგენტინა | 18 | 10 | 4 | 4 | 29:17 | 34 |
| ეკვადორი | 18 | 8 | 4 | 6 | 23:19 | 28 |
| პარაგვაი | 18 | 8 | 4 | 6 | 23:23 | 28 |
| ურუგვაი | 18 | 6 | 7 | 5 | 23:28 | 25 |
| კოლუმბია | 18 | 6 | 6 | 6 | 24:16 | 24 |
| ჩილე | 18 | 5 | 7 | 6 | 18:22 | 22 |
| ვენესუელა | 18 | 5 | 3 | 10 | 20:28 | 18 |
| პერუ | 18 | 4 | 6 | 8 | 20:28 | 18 |
| ბოლივია | 18 | 4 | 2 | 12 | 20:37 | 14 |

## არსადაც არ წავალ

*„მილანის“ ნახევარდაცვის ხერხემალმა ჯენარო გატუზომ მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით განაცხადა, რომ არსად წასვლას არ აპირებს: „წასასვლელად ვერანაირ მიზეზს ვერ ვხედავ. ბოლოს და ბოლოს ხელთ მაქვს კონტრაქტი, რომლის ვადაც 2008 წელს იწურება. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ მანამ არ წავალ, სანამ არ გამაგდებენ. რაც შეეხება იმას, რომ ცოტა ხნით სკამზე აღმოვჩნდი, უბრალოდ, კარლო ანჩელოტის ჩვეული გატუზოს ხილვა უნდა და მეტი არაფერი. რამდენიმე თამაში ჩავაგდე, მაგრამ მალე სრულ მზადყოფნაში ვიქნები“.*



ჯენარო გატუზო „მილანში“ რჩება

**„თეთრი დავიდსი“** რამდენიმე მატჩში ჩვეულად ვერ გამოიყურებოდა. „მილანის“ „საყრდენ კედლად“ ქცეული მოთამაშე სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა და მის გუნდიდან წასვლაზეც ალაპარაკდნენ. იტალიის ნაკრების წევრს ლამის უკვე „მანჩესტერ იუნაიტედის“ საკუთრებად მოიხსენიებდნენ. ამას საბაბი თავად გატუზომ მისცა ყველას, როცა თქვა, რომ ბედნიერი იქნებოდა, ოდესმე მანკუნიალების რიგებში თუ ითამაშებდა.

„რა თქმა უნდა, სათადარიგოთა სკამზე მუდმივად ჯდომას ვერ შევეგუები. უბრალოდ, ეჭვი არც მეპარება, რომ ეს დროებითი მოვლენაა. რაც შეეხება ინგლისში წასვლას, ხალხმა იცის, რომ იქაური ფეხბურთი ჩემი სუსტი წერტილია, მაგრამ ახლა ჩემი გული „მილანს“ ეკუთვნის“ — განაცხადა ფეხბურთელმა.

გატუზომ ექვსი წარმატებული სეზონი ჩაატარა „როსონერის“ მაისურით, სადაც 1999 წელს „სალერნიტანადან“ გადაბარგდა. ამ პერიოდში მან ჩემპიონთა ლიგის, სკუდეტოს, იტალიის თასის, ევროპის სუპერთასისა და იტალიის სუპერთასის მოგება მოასწრო. ძალიან მოკლე ხანში ის გუნდის ახალწველიდან ერთ-ერთ ძირითად ფიგურად გადაიქცა. პაოლო მალდინის წასვლის შემდეგ სწორედ ის განიხილება „მილანის“ კაპიტნობის პირველ პრეტენდენტად.

ამასობაში კი კიდევ ერთი ჭორი აგორდა „როსონერის“ გარშემო — ამჯერად ფერნანდო ტორესით დაინტერესების შესახებ.

თავად ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ეამაყება, ასეთმა დიდმა გუნდმა რომ დაადგა თვალი. თუმცა იგი ახლა თურმე სულ სხვა რაღაცეებზე ფიქრობს:

„მილანს“ ვუნდივარ? ამაზე კარგი რა უნდა იყოს? მაგრამ ახლა მთელი არსებით მსოფლიოს ჩემპიონატზე ვარ გადართული“.

ოცდაერთი წლის ტორესი ესპანეთში დიდად ფასობს და „ატლეტიკოც“ მასთან შელევას სულ არ ჩქარობს. ყოველი შემთხვევისთვის, მისი ფასი ოცი მილიონი გირვანქაა.

სხვა ტრანსფერებს რაც შეეხება, შესაძლოა მომავალ ზაფხულს ვილი სანიოლი „ბაიერნიდან“ „იუვენტუსში“ გადავიდეს. მისი შეძენა იგივე „ატლეტიკოსა“ და „მილანსაც“ სურდათ.

**ზურაბ გოცირიძე**

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

UNDER 21 Championship

**პლეი ოფის წილისყრა**

**ინგლისი — საფრანგეთი**
**სერბეთი — ხორვატია**
**უკრაინა — ბელგია**
**რუსეთი — დანია**
**ჩეხეთი — გერმანია**
**სლოვენია — ჰოლანდია**
**უნგრეთი — იტალია**
**შვეიცარია — პორტუგალია**

პირველი მატჩები 12 ნოემბერს გაიმართება, საპასუხოები 16 ნოემბერს. წყვილებში გამარჯვებულები ფინალური ეტაპის საგზურებს მოიპოვებენ

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. კონკაკაფი

**X ტური**

**გვატემალა 3:1 კოსტა რიკა**

**ტრინიდადი 2:1 მექსიკა**

**აშშ 2:0 პანამა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 10 | 7 | 1 | 2 | 16:6 | 22 |
| მექსიკა | 10 | 7 | 1 | 2 | 22:9 | 22 |
| კოსტა რიკა | 10 | 5 | 1 | 4 | 15:14 | 16 |
| ტრინიდადი | 10 | 4 | 1 | 5 | 10:15 | 13 |
| გვატემალა | 10 | 3 | 2 | 5 | 16:18 | 11 |
| პანამა | 10 | 0 | 2 | 8 | 4:21 | 2 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:45 | 1 | [illegible] | 2.70 | 3.30 | 2.40 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| 18:00 | 2 | [illegible] | 1.25 | 4.70 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.37 |
| 18:00 | 3 | [illegible] | 5.30 | 3.60 | 1.60 | 2.14 | 1.22 | 1.10 |
| 18:00 | 4 | [illegible] | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 18:00 | 5 | [illegible] | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 18:00 | 6 | [illegible] | 7.00 | 3.60 | 1.50 | 2.37 | 1.23 | 1.05 |
| 20:15 | 7 | [illegible] | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:00 | 8 | [illegible] | 2.40 | 3.00 | 2.90 | 1.33 | 1.31 | 1.47 |
| 19:00 | 9 | [illegible] | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 10 | [illegible] | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |

**ინგლისი. ჩემპიონატი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:30 | 11 | [illegible] | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 18:00 | 12 | [illegible] | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 18:00 | 13 | [illegible] | 2.80 | 3.30 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| 18:00 | 14 | [illegible] | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 15 | [illegible] | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 18:00 | 16 | [illegible] | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 17 | [illegible] | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 18 | [illegible] | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 18:00 | 19 | [illegible] | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 18:00 | 20 | [illegible] | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 18:00 | 21 | [illegible] | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:30 | 22 | [illegible] | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |

**ინგლისი. I ლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 24 | [illegible] | 1.50 | 3.40 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.23 |
| 18:00 | 25 | [illegible] | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 18:00 | 26 | [illegible] | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 27 | [illegible] | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 28 | [illegible] | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| 18:00 | 29 | [illegible] | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 18:00 | 30 | [illegible] | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 31 | [illegible] | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 18:00 | 32 | [illegible] | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 33 | [illegible] | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 34 | [illegible] | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 18:00 | 35 | [illegible] | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |

**ინგლისი. II ლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 36 | [illegible] | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 22:45 | 37 | [illegible] | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 38 | [illegible] | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 18:00 | 39 | [illegible] | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 | 40 | [illegible] | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 18:00 | 41 | [illegible] | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 18:00 | 42 | [illegible] | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 43 | [illegible] | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 44 | [illegible] | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 18:00 | 45 | [illegible] | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 46 | [illegible] | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 47 | [illegible] | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |

**ინგლისი. კონფერენსი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 48 | [illegible] | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 49 | [illegible] | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 50 | [illegible] | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 51 | [illegible] | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| 18:00 | 52 | [illegible] | 1.45 | 3.50 | 7.00 | 1.02 | 1.20 | 2.33 |
| 18:00 | 53 | [illegible] | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 18:00 | 54 | [illegible] | 1.60 | 3.30 | 4.80 | 1.07 | 1.20 | 1.95 |
| 18:00 | 55 | [illegible] | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| 18:00 | 56 | [illegible] | 2.05 | 3.30 | 3.00 | 1.26 | 1.21 | 1.57 |
| 18:00 | 57 | [illegible] | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 18:00 | 58 | [illegible] | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 59 | [illegible] | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 18:00 | 60 | [illegible] | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 61 | [illegible] | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 18:00 | 62 | ინვერნესი-აბერდინი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 18:00 | 63 | მაზერველი-ლივინგსტონი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 64 | დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი | 7.00 | 4.00 | 1.35 | 2.54 | 1.13 | 1.00 |

**შოტლანდია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 65 | დანდი-სტრანრაერი | 1.55 | 3.60 | 4.80 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| 18:00 | 66 | სტ.მირენი-როსი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 67 | კლაიდი-ჰამილტონი | 2.60 | 3.30 | 2.25 | 1.45 | 1.20 | 1.33 |
| 18:00 | 68 | სტ.ჯონსტონი-ბრეჩინი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 18:00 | 69 | ქუინი-ეირდრი | 2.55 | 3.30 | 2.35 | 1.43 | 1.22 | 1.37 |

**შოტლანდია. II დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 70 | ეარი-ალოა | 1.80 | 3.50 | 3.40 | 1.18 | 1.17 | 1.72 |
| 18:00 | 71 | დამბარტონი-რეითი | 2.70 | 3.40 | 2.10 | 1.50 | 1.18 | 1.29 |
| 18:00 | 72 | ფორფარი-სტირლინგი | 1.70 | 3.40 | 3.80 | 1.13 | 1.17 | 1.79 |
| 18:00 | 73 | პარტიკი-მორტონი | 2.60 | 3.50 | 2.15 | 1.49 | 1.17 | 1.33 |
| 18:00 | 74 | პიტერჰედი-გრეტნა | 4.30 | 3.60 | 1.60 | 1.95 | 1.16 | 1.10 |

**შოტლანდია. III დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 75 | ალბიონი-კოუდენბითი | 3.60 | 3.50 | 1.75 | 1.77 | 1.17 | 1.16 |
| 18:00 | 76 | არბროთი-ელგინი | 1.80 | 3.50 | 3.40 | 1.18 | 1.17 | 1.72 |
| 18:00 | 77 | ისტ ფაიფი-ისტ სტირლინგი | 1.45 | 4.00 | 5.50 | 1.06 | 1.14 | 2.31 |
| 18:00 | 78 | მონტროუზი-ქუინს პარკი | 2.35 | 3.50 | 2.50 | 1.40 | 1.21 | 1.45 |
| 18:00 | 79 | სტენჰაუსმუირი-ბერვიკი | 2.25 | 3.50 | 2.55 | 1.36 | 1.19 | 1.47 |

**გერმანია. I ბუნდესლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 80 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.60 | 3.50 | 5.40 | 1.09 | 1.23 | 2.12 |
| 17:30 | 81 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2.55 | 3.30 | 2.50 | 1.43 | 1.26 | 1.42 |
| 17:30 | 82 | არმინია-ჰერტა | 3.10 | 3.30 | 2.15 | 1.59 | 1.26 | 1.30 |
| 17:30 | 83 | მაინცი-ლევერკუზენი | 2.90 | 3.30 | 2.25 | 1.54 | 1.26 | 1.33 |
| 17:30 | 84 | შალკე-ბაიერნი | 2.50 | 3.30 | 2.55 | 1.42 | 1.26 | 1.43 |
| 17:30 | 85 | შტუტგარტი-გლადბახი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 17.30 | 86 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.35 | 4.50 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.88 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.30 | 87 | დუისბურგი-აინტრახტი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 19:30 | 88 | კიოლნი-ჰანოვერი | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 89 | ალენი-კარლსრუე | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 21:00 | 90 | ჰანზა-აუე | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 21:00 | 91 | მიუნხენი 1860-პადერბორნი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 92 | ოფენბახი-ზიგენი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 17:00 | 93 | ფრაიბურგი-ზაარბრიუკენი | 1.40 | 3.80 | 6.80 | 1.02 | 1.16 | 2.43 |
| 17:00 | 94 | ფიურტი-ბურგჰაუზენი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 17:00 | 95 | ბრაუნშვაიგი-ბოხუმი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 17:00 | 96 | კობლენცი-უნტერჰახინგი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:15 | 97 | დრეზდენი-ალემანია | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 98 | ოსნაბრიუკი-კიოლნი(მ) | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 99 | ჰერტა(მ)-ემდენი | 1.90 | 3.30 | 3.30 | 1.20 | 1.20 | 1.64 |
| 16:00 | 100 | კილი-ზტ.პაული | 1.95 | 3.30 | 3.20 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| 16:00 | 101 | ლევერკუზენი(მ)-ლიუბეკი | 3.50 | 3.40 | 1.80 | 1.72 | 1.18 | 1.17 |
| 16:00 | 102 | მიუნსტერი-ერფურტი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 16:00 | 103 | ქემნიცი-ვერდერი(მ) | 2.05 | 3.20 | 2.95 | 1.24 | 1.20 | 1.53 |
| 16:00 | 104 | ვუპერტალი-დიუსელდორფი | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 18:00 | 105 | ეუპა-ჰამბურგი(მ) | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 106 | ვატენშაიდი-ესენი | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 107 | კობლენცი-ჰოფენჰაიმი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:30 | 108 | მიუნხენი 1860 (მ)-აალენი | 1.95 | 3.30 | 3.20 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| 16:30 | 109 | კარლსრუე (მ)-რეგენსბურგი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 16:30 | 110 | აუგსბურგი-კიკერსი | 1.40 | 3.70 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.42 |
| 16:30 | 111 | ბაიროიტი-ბაიერნი(მ) | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 16:30 | 112 | დარმშტადტი-ელვერსბერგი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 16:30 | 113 | ეშბორნი-ფულენდორფი | 2.10 | 3.30 | 2.90 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 114 | კაიზერსლაუტერნი(მ)-ტრიერი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 17:00 | 115 | შტუტგარტი(მ)-ულმი | 2.05 | 3.30 | 2.90 | 1.26 | 1.20 | 1.54 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:30 | 116 | ადმირა-ტიროლი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 20:30 | 117 | მატერსბურგი-გრაცერი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 20:30 | 118 | რაპიდი-ზალცბურგი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 20:30 | 120 | შტურმი-პაშინგი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 119 | რიდი-აუსტრია | 3.60 | 3.20 | 1.90 | 1.69 | 1.24 | 1.19 |

**ავსტრია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 121 | ალტახი-აუსტრია(მ) | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 21:00 | 122 | კაპფენბერგი-ლეობენი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 21:00 | 123 | კერნტენი-გრატკორნი | 1.60 | 3.40 | 4.50 | 1.08 | 1.18 | 1.93 |
| 21:00 | 124 | კუფშტაინი-აუსტრია(ლ) | 3.90 | 3.40 | 1.75 | 1.81 | 1.20 | 1.15 |
| 21:00 | 125 | შვანენშტადტი-ლინცერი | 3.00 | 3.20 | 2.00 | 1.54 | 1.20 | 1.23 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 126 | თუნი-სტ.გალენი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:15 | 127 | იუვერდონი-ქსამაქსი | 1.90 | 3.40 | 3.50 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 18:00 | 128 | აარაუ-იანგ ბოისი | 2.65 | 3.30 | 2.30 | 1.46 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 129 | შაფჰაუზენი-გრასჰოპერი | 3.20 | 3.40 | 2.00 | 1.64 | 1.23 | 1.25 |
| 18:15 | 130 | ციურიხი-ბაზელი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |

**შვეიცარია. ჩელენჯლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 131 | [illegible]-ლოკარნო | 1.50 | 3.60 | 5.30 | 1.05 | 1.16 | 2.14 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 132 | კონკორდია-ვინტერთური | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 19:30 | 133 | კრიენსი-ვადუცი | 2.80 | 3.30 | 2.10 | 1.51 | 1.20 | 1.28 |
| 19:30 | 135 | ბიელი-ლოზანა | 2.90 | 3.20 | 2.10 | 1.52 | 1.21 | 1.26 |
| 19:30 | 136 | შო დე ფონი-ლუგანო | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 19:30 | 137 | ბიული-ბადენი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:30 | 134 | ვილი-სიონი | 2.70 | 3.20 | 2.20 | 1.46 | 1.21 | 1.30 |
| 16:30 | 138 | ბელინცონა-მეირინი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 18:00 | 139 | კიასო-ლუცერნი | 2.05 | 3.30 | 3.00 | 1.26 | 1.21 | 1.57 |

**იტალია. სერია A**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 140 | სიენა-უდინეზე | 2.60 | 3.00 | 2.65 | 1.39 | 1.31 | 1.40 |
| 22:30 | 141 | იუვენტუსი-მესინა | 1.20 | 5.30 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.76 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 142 | ლაციო-ფიორენტინა | 2.60 | 3.00 | 2.70 | 1.39 | 1.32 | 1.42 |
| 17:00 | 143 | პალერმო-კიევო | 1.70 | 3.10 | 5.50 | 1.09 | 1.29 | 1.98 |
| 17:00 | 144 | პარმა-ტრევიზო | 1.70 | 3.10 | 5.65 | 1.09 | 1.30 | 2.00 |
| 17:00 | 145 | რეჯინა-ლეჩე | 2.15 | 3.00 | 3.40 | 1.25 | 1.31 | 1.59 |
| 17:00 | 146 | ასკოლი-სამპდორია | 3.30 | 3.00 | 2.20 | 1.57 | 1.32 | 1.26 |
| 17:00 | 147 | ემპოლი-რომა | 3.20 | 3.10 | 2.20 | 1.57 | 1.30 | 1.28 |
| 17:00 | 148 | ინტერი-ლივორნო | 1.30 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.10 |
| 22:30 | 149 | კალიარი-მილანი | 6.50 | 3.40 | 1.55 | 2.23 | 1.25 | 1.06 |

**იტალია. სერია B**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 152 | ტრიესტინა-მოდენა | 2.40 | 2.70 | 3.00 | 1.27 | 1.33 | 1.42 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 153 | ვერონა-არეცო | 1.90 | 2.90 | 4.00 | 1.14 | 1.28 | 1.68 |
| 18:00 | 154 | რიმინი-კრემონეზე | 1.90 | 2.90 | 4.00 | 1.14 | 1.28 | 1.68 |
| 18:00 | 155 | ტერნანა-ტორინო | 3.10 | 2.80 | 2.25 | 1.47 | 1.30 | 1.24 |
| 18:00 | 156 | მანტოვა-კატანია | 2.10 | 2.80 | 3.50 | 1.20 | 1.31 | 1.55 |
| 18:00 | 157 | პიაჩენცა-ბრეშა | 2.45 | 2.80 | 2.85 | 1.30 | 1.31 | 1.41 |
| 18:00 | 158 | პესკარა-ჩეზენა | 2.20 | 2.80 | 3.20 | 1.23 | 1.30 | 1.49 |
| 18:00 | 159 | ალბინოლეფე-აველინო | 2.05 | 2.80 | 3.70 | 1.18 | 1.31 | 1.59 |
| 18:00 | 160 | ბარი-ატალანტა | 2.60 | 2.80 | 2.70 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| 18:00 | 161 | ბოლონია-ვიჩენცა | 1.55 | 3.20 | 6.50 | 1.04 | 1.25 | 2.14 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 162 | კატანძარო-კროტონე | 2.50 | 2.80 | 2.80 | 1.32 | 1.32 | 1.39 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 182 | ალავესი-ვილარეალი | 2.75 | 3.10 | 2.45 | 1.45 | 1.29 | 1.36 |
| 23:45 | 184 | ატლეტიკო-რეალი | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 22:00 | 187 | დეპორტივო-ბარსელონა | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 183 | ბილბაო-სევილია | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 185 | ბურსასპორ-ხუტოგი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 21:00 | 186 | ესპანიოლი-კადისი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 19:00 | 188 | მალიორკა-რასინგი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 19:00 | 189 | ოსასუნა-სევილია | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 21:00 | 190 | ვალენსია-მალაგა | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 19:00 | 191 | სარაგოსა-სოსიედადი | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |

**ესპანეთი. II დივიზიონი**

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 192 | ალბასეტე-ელჩე | 1.90 | 3.10 | 3.80 | 1.17 | 1.26 | 1.70 |
| 20:30 | 194 | კასტელონი-ვალიადოლიდი | 2.95 | 3.00 | 2.30 | 1.48 | 1.29 | 1.30 |
| 20:30 | 195 | ტენერიფე-ჟირონა | 1.95 | 3.00 | 3.80 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| 20:30 | 197 | სიუდად მ-ლევანტე | 2.65 | 2.80 | 2.70 | 1.36 | 1.33 | 1.37 |
| 20:30 | 201 | ჰერკულესი-ეიბარი | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 193 | ალმერია-ეიბარი | 1.95 | 3.00 | 3.80 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| 21:00 | 196 | პოლიდეპორტივო-ხერესი | 2.25 | 2.90 | 3.15 | 1.26 | 1.31 | 1.50 |
| 19:00 | 198 | მურსია-ლორკა | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 19:00 | 199 | ნუმანსია-სალამანკა | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 19:00 | 200 | რეალი(ბ)-ლეიდა | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 14:00 | 202 | სპორტინგი-ტენერიფე | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:15 | 203 | ნანტი-სენ-ეტიენი | 2.25 | 3.00 | 3.20 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 22:00 | 204 | სტრასბურგი-რენი | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| 22:00 | 205 | ლიონი-ტრუა | 1.65 | 3.20 | 5.20 | 1.08 | 1.25 | 1.98 |
| 22:00 | 206 | ბორდო-სოშო | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| 22:00 | 207 | ლე მანი-ლილი | 2.45 | 2.80 | 2.90 | 1.30 | 1.32 | 1.42 |
| 22:00 | 208 | ლანსი-ნიცა | 1.75 | 3.00 | 5.00 | 1.10 | 1.29 | 1.87 |
| 22:00 | 209 | მონაკო-მეცი | 1.45 | 3.50 | 7.50 | 1.02 | 1.21 | 2.38 |
| 22:00 | 210 | ნანსი-ტულუზა | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 211 | მარსელი-პსჟ | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| 20:00 | 212 | ლორიანი-აიაჩიო | 1.35 | 4.50 | 7.00 | 1.03 | 1.13 | 2.73 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

**14 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 214 | მონპელიე-ისტრი | 2.30 | 2.80 | 3.10 | 1.26 | 1.32 | 1.47 |
| 22:30 | 215 | ვალანსიენი-გენგამპი | 1.90 | 2.90 | 3.90 | 1.14 | 1.27 | 1.66 |
| 22:30 | 216 | ლე ავრი-სედანი | 2.30 | 2.80 | 3.00 | 1.26 | 1.30 | 1.44 |
| 22:30 | 217 | ამიენი-რეიმსი | 1.85 | 2.90 | 4.20 | 1.12 | 1.28 | 1.71 |
| 22:30 | 218 | ბასტია-ლორიანი | 1.85 | 2.90 | 4.30 | 1.12 | 1.29 | 1.73 |
| 22:30 | 219 | კანი-გრენობლი | 1.90 | 2.90 | 3.80 | 1.14 | 1.26 | 1.64 |
| 22:30 | 220 | შატორუ-სეტი | 1.70 | 3.00 | 5.20 | 1.08 | 1.28 | 1.90 |
| 22:30 | 221 | კრეტეი-ლავალი | 1.70 | 2.90 | 5.00 | 1.07 | 1.26 | 1.83 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:30 | 223 | გინგამი-დიჟონი | 2.20 | 2.80 | 3.30 | 1.23 | 1.32 | 1.51 |

**17 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 222 | ბრესტი-გუნიონი | 2.15 | 2.80 | 3.20 | 1.21 | 1.28 | 1.49 |

**ბელგია. I დივიზიონი**

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 224 | მუსკრონი-ბეერსხოტი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 22:00 | 225 | ლოკერენი-ვარეგემი | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 22:00 | 226 | ლიერსი-მონსი | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 227 | ბეველენი-ანდერლეხტი | 4.50 | 3.40 | 1.65 | 1.93 | 1.20 | 1.11 |
| 22:00 | 228 | ბრიუგე-მეხელენი | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 22:00 | 229 | ბრიუსელი-სერენი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 22:00 | 230 | რუსელარე-ლიერსი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 231 | სტ.ტრუიდენი-გენტი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 22:00 | 232 | გენკი-სტანდარდი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |

**ბელგია. II დივიზიონი**

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 233 | ტუბიზი-ანტვერპენი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 22:00 | 234 | გელი-კორტრეიკი | 2.15 | 3.20 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.50 |
| 22:00 | 235 | მონსი-სტ.გილო | 1.35 | 4.30 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.58 |
| 22:00 | 236 | ოსტენდე-ლომელი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 22:00 | 237 | ტურნჰაუტი-ლოკერენი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 22:00 | 238 | ვირტონი-ეუპენი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 22:00 | 239 | დენდერი-ვაასლანდი | 2.20 | 3.30 | 2.70 | 1.32 | 1.21 | 1.48 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 240 | ვესტერლო-მეხელენი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 17:00 | 241 | რონსე-კნოკე | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი**

**14 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 242 | ტილბურგი-სპარტა | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 243 | ნეკ-ალკმაარი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 21:30 | 244 | ბრედა-ჰერენვეენი | 1.80 | 3.50 | 3.60 | 1.18 | 1.20 | 1.77 |
| 22:00 | 245 | ტვენტე-ვილემ-II | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 22:15 | 246 | აიაქსი-ჰერაკლესი | 1.25 | 4.60 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.98 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 247 | ფეიენოორდი-გრონინგენი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 16:30 | 248 | ნაიმეგენი-როზენდაალი | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 16:30 | 249 | ვიტესი-დენ ჰააგი | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 18:30 | 250 | რკცი-უტრეხტი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი**

**14 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 251 | ვეენდამი-ამერსფოორტი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 22:00 | 252 | გრაფსხაპი-ექსელსიორი | 2.40 | 3.40 | 2.45 | 1.40 | 1.21 | 1.42 |
| 22:00 | 253 | დორდრეხტი-ეინდჰოვენი | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 22:00 | 254 | ზვოლე-ვენლო | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 22:00 | 255 | ჰელმონდი-ემენი | 2.00 | 3.40 | 3.10 | 1.25 | 1.21 | 1.62 |
| 22:00 | 256 | მაასტრიხტი-ოსი | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 22:00 | 257 | ალმერე-კამბური | 2.80 | 3.30 | 2.10 | 1.51 | 1.20 | 1.28 |
| 22:00 | 258 | ოსი-სპარტა | 1.95 | 3.40 | 3.10 | 1.23 | 1.19 | 1.62 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 259 | ვოლენდამი-დენ ბოსხი | 2.05 | 3.30 | 2.90 | 1.26 | 1.20 | 1.54 |
| 16:30 | 260 | ჰაარლემი-ტელსტარი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |

**პორტუგალია. სუპერლიგა**

**14 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 268 | რიუ ავე-ბრაგა | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 263 | გიმარაეში-ნასიონალი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 23:45 | 267 | პორტუ-ბენფიკა | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 261 | ამადორა-მარიტიმუ | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 20:00 | 264 | ლეირია-ფეირენსე | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 23:45 | 265 | ნავალი-ბელენენსეში | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 266 | პენაფიელი-სეტუბალი | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 22:15 | 269 | სპორტინგი-აკადემიკა | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |

**17 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 262 | ბოავიშტა-ჟილ ვისენტე | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |

**პორტუგალია. I დივიზიონი**

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 270 | ავეში-მორეირენსე | 1.95 | 3.20 | 3.20 | 1.21 | 1.21 | 1.60 |
| 18:00 | 271 | ბარეირენსე-ვარზიმი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 19:00 | 272 | კოვილია-ფეირენსე | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 19:00 | 273 | ესტორილი-ოვარენსე | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 19:00 | 274 | ლეიშოეში-ბეირა მარი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| 19:00 | 275 | მარკუ-სანტა კლარა | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 19:00 | 276 | პორტიმონენსე-შავეში | 1.80 | 3.20 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.72 |
| 18:00 | 277 | ვიზელა-მაია | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 19:00 | 278 | გონდომარი-ოლიანენსე | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |

**საბერძნეთი**

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 279 | ატრომიტოსი-ლევადიაკოსი | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |
| 19:00 | 280 | კალამარია-ეგალეო | 2.45 | 3.00 | 2.70 | 1.34 | 1.28 | 1.42 |
| 21:00 | 284 | პანათინაიკოსი-ერგოტელისი | 1.10 | 7.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 5.00 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 281 | იონიკოსი-აეკ | 3.50 | 3.10 | 1.95 | 1.64 | 1.25 | 1.19 |
| 16:30 | 282 | ქსანთი-ოლიმპია | 2.30 | 3.00 | 3.00 | 1.30 | 1.30 | 1.50 |
| 20:00 | 283 | ოლიმპიაკოსი-პაოკ | 1.45 | 3.60 | 7.00 | 1.03 | 1.20 | 2.37 |
| 16:30 | 285 | პანიონიოსი-კალითეა | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |

**17 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 286 | ქსანთი-ირაკლისი | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |

**თურქეთი**

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 287 | ანკარა-კონია | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 21:00 | 290 | დიარბაქირი-გაზიანთეპი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 15:00 | 291 | ერზურუმი-გალათასარაი | 4.20 | 3.40 | 1.70 | 1.87 | 1.21 | 1.13 |
| 21:00 | 292 | ფენერბახჩე-ანკარაგუჩუ | 1.20 | 5.30 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.57 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 288 | ბეშიქთაში-კაისერი | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 16:00 | 289 | დენიზლი-მანისა | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 17:00 | 293 | გენჩლერბირლიგი-სივასპორი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 16:00 | 294 | რიზე-მალათია | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 16:00 | 295 | სამსუნი-ტრაბზონი | 3.90 | 3.30 | 1.75 | 1.78 | 1.20 | 1.14 |

**რუსეთი**

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 297 | ტერეკი-როსტოვი | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| 15:00 | 298 | ტომსკი-ამკარი | 1.95 | 3.00 | 3.80 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| 15:00 | 299 | ტორპედო-სატურნი | 1.80 | 3.10 | 4.30 | 1.13 | 1.26 | 1.80 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 296 | ლოკომოტივი-შინიკი | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| 14:00 | 300 | სპარტაკი-ზენიტი | 2.10 | 3.10 | 3.40 | 1.25 | 1.29 | 1.62 |
| 15:00 | 301 | ცსკა-რუბინი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 15:00 | 302 | კრილია-მოსკოვი | 2.55 | 2.90 | 2.75 | 1.35 | 1.32 | 1.41 |
| 15:00 | 303 | ალანია-დინამო | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |

**პოლონეთი**

**14 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 312 | ლეხია-ლეხი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 313 | ლეგია-პლოცკი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 20:00 | 314 | არკა-ამიკა | 2.90 | 3.10 | 2.15 | 1.49 | 1.23 | 1.26 |
| 20:00 | 315 | ბელხატოვი-პოლონია | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 20:00 | 316 | კრაკოვია-ოდრა | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 20:00 | 317 | გურნიკი-კორონა | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 22:00 | 318 | გროცლინი-პოგონი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 319 | ზაგლემბე-ვისლა | 4.30 | 3.20 | 1.70 | 1.83 | 1.21 | 1.11 |

**ჩეხეთი**

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:25 | 320 | მოსტი-სლავია | 2.65 | 3.00 | 2.45 | 1.40 | 1.27 | 1.34 |
| 20:00 | 321 | სპარტა-ბლშანი | 1.30 | 4.70 | 7.50 | 1.01 | [illegible] | [illegible] |
| 19:00 | 322 | სლოვაცკო-ბანიკი | 2.05 | 3.00 | 3.20 | 1.21 | 1.24 | [illegible] |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 323 | იაბლონეცი-ტეპლიცე | 2.90 | 3.00 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 19:00 | 324 | მლადა ბოლესლავი-პლზენი | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 19:00 | 325 | პრჟიბრამი-ზლინი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.96 |
| 19:00 | 326 | ბრნო-ოპავა | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |

**17 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:40 | 327 | ლიბერეცი-სიგმა | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |

**სლოვაკეთი**

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 328 | რუჟომბეროკი-ჟილინა | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 16:30 | 329 | ინტერი-დუბნიცა | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 19:30 | 330 | ბ.ბისტრიცა-ნიტრა | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.85 |
| 19:30 | 331 | ტრენჩინი-ტრნავა | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12:30 | 332 | პეტრჟალკა-ზლატე | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |

**ხორვატია**

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 333 | ციბალია-ოსიეკი | 2.20 | 3.00 | 2.90 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| 22:15 | 334 | ინტერი-კამენი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 17:30 | 335 | სლავენი-ვარაჟდინი | 3.30 | 3.10 | 2.05 | 1.59 | 1.26 | 1.21 |
| 17:30 | 336 | რიეკა-მეჟიმურიე | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.51 |
| 20:00 | 337 | დინამო-პულა | 1.15 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.67 |
| 20:00 | 338 | ვარტეკსი-ზაგრები | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |

**სლოვენია**

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 339 | ბელა კრაინა-ცელიე | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 16:45 | 340 | გორიცა-დომჟალე | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 20:00 | 341 | მარიბორი-პრიმორიე | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.81 |
| 17:00 | 342 | ნაფტა-კოპერი | 1.65 | 3.30 | 4.60 | 1.10 | 1.21 | 1.92 |
| 20:00 | 343 | რუდარი-ჰიდროპარკი | 2.70 | 3.00 | 2.40 | 1.42 | 1.27 | 1.33 |

**დანია. სუპერლიგა**

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 354 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 352 | ესბიერგი-ოდენსე | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 17:00 | 353 | ჰორსენსი-ნორდსიელანდი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 17:00 | 355 | ოლბორგი-ორჰუსი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 17:00 | 356 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 4.20 | 3.50 | 1.70 | 1.90 | 1.21 | 1.14 |
| 19:30 | 357 | სონდერიისკე-ბრონდბი | 5.80 | 3.70 | 1.55 | 2.25 | 1.22 | 1.09 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 366 | სტარტი-ოლესუნდი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 367 | ვიკინგი-ვალერენგა | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 20:00 | 368 | ლინი-ტრომსე | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 20:00 | 369 | ოდ გრენლანდი-ბრანი | 2.25 | 3.40 | 2.80 | 1.35 | 1.24 | 1.53 |
| 20:00 | 370 | ფრედრიკსტადი-მოლდე | 2.15 | 3.40 | 3.00 | 1.31 | 1.25 | 1.59 |
| 22:05 | 371 | როზენბორგი-ბრანი | 1.65 | 3.60 | 4.80 | 1.13 | 1.22 | 2.05 |

**17 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 372 | ლილესტრომი-ბოდო გლიმტი | 1.70 | 3.60 | 4.50 | 1.15 | 1.23 | 2.00 |

**ნორვეგია**

**I დივიზიონი**

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 373 | ტონსბერგი-პიონერი | 1.90 | 3.80 | 3.10 | 1.26 | 1.17 | 1.70 |
| 16:00 | 374 | ალტა-სკეიდი | 2.80 | 4.00 | 2.00 | 1.64 | 1.16 | 1.33 |
| 17:00 | 375 | ბრინი-ჰამ გრენლანდი | 2.20 | 3.70 | 2.65 | 1.37 | 1.20 | 1.54 |
| 17:00 | 376 | ჰაუგესუნი-ლონგ ჰამი | 1.45 | 4.40 | 5.30 | 1.09 | 1.13 | 2.40 |
| 17:00 | 377 | მოსი-კონგსვინგერი | 1.45 | 4.30 | 5.50 | 1.08 | 1.14 | 2.41 |
| 17:00 | 378 | სოგნდალი-ფელი | 1.65 | 3.90 | 4.00 | 1.15 | 1.16 | 1.97 |
| 17:45 | 379 | სტაბეკი-სანდეფიორდი | 1.80 | 3.50 | 3.80 | 1.18 | 1.22 | 1.82 |
| 20:00 | 380 | სტრომსგოდსეტი-მანდალი | 1.80 | 4.00 | 3.30 | 1.24 | 1.16 | 1.80 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 381 | გეფლე-მალმიო | 4.20 | 3.50 | 1.75 | 1.90 | 1.23 | 1.16 |
| 19:00 | 382 | ჰეკენი-კალმარი | 2.75 | 3.30 | 2.35 | 1.50 | 1.26 | 1.37 |
| 19:00 | 383 | ჰალმსტადი-ასირისკა | 1.25 | 5.20 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.36 |

**17 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 384 | ჰამარბი-გოტებორგი | 2.40 | 3.40 | 2.60 | 1.40 | 1.24 | 1.47 |
| 21:00 | 385 | ლანდსკრონა-სუნდსვალი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 21:00 | 386 | ორგრიტე-ელფსბორგი | 3.70 | 3.50 | 1.85 | 1.79 | 1.23 | 1.21 |
| 21:00 | 387 | ჯურგარდენი-ჰელსინგბორგი | 2.35 | 3.40 | 2.70 | 1.38 | 1.25 | 1.50 |

**შვედეთი. სუპერეტა**

**15 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 390 | ორებრო-ბროშაპოიკარნა | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 16:00 | 391 | ოსტერსი-აიკ | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 16:00 | 392 | ფალკენბერგი-ტრელებორგი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 16:00 | 393 | ანგელჰოლმი-ვესბი | 1.90 | 3.40 | 3.50 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 16:00 | 394 | ვესტერასი-ნორჩეპინგი | 3.70 | 3.50 | 1.80 | 1.79 | 1.21 | 1.18 |
| 16:00 | 395 | ფრიოლუნდა-მიოლბი | 4.00 | 3.60 | 1.75 | 1.89 | 1.21 | 1.17 |

**16 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:10 | 396 | გაის-ნორჩეპინგი | 2.10 | 3.40 | 2.90 | 1.29 | 1.21 | 1.56 |
| 16:00 | 397 | ბოდენი-ლანდსკრონა | 2.70 | 3.40 | 2.25 | 1.50 | 1.22 | 1.35 |

**სხვა სახის ფსონებზ გაეცნობით ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 405 | სტ.პატრიკსი-დუბლინი | 2.15 | 3.00 | 3.00 | 1.25 | 1.25 | 1.50 |
| 22:45 | 406 | ბოჰემიანსი-ბრეი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 22:45 | 407 | [illegible] | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 22:45 | 408 | კორკი-დროგედა | 1.50 | 3.40 | 5.90 | 1.04 | 1.19 | 2.15 |
| 22:45 | 409 | დერი-შამროკი | 1.45 | 3.50 | 6.00 | 1.02 | 1.16 | 2.21 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 410 | ლონგფორდი-შელბორნი | 2.85 | 3.30 | 2.10 | 1.52 | 1.20 | 1.28 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 09:00 | 412 | ნიიგატა-ურავა | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 09:00 | 413 | ჩერეზო-ომია | 1.55 | 3.50 | 4.80 | 1.07 | 1.17 | 2.02 |
| 10:00 | 414 | ტოკიო-ჰიროსიმა | 2.20 | 3.00 | 2.85 | 1.26 | 1.24 | 1.46 |
| 10:30 | 415 | ჯუბილო-კაშივა | 1.75 | 3.20 | 3.80 | 1.13 | 1.19 | 1.73 |
| 11:00 | 416 | ნაგოია-კავასაკი | 2.20 | 3.10 | 2.75 | 1.28 | 1.22 | 1.45 |
| 11:00 | 417 | ოიტა-შიმიძუ | 2.00 | 3.10 | 3.10 | 1.21 | 1.21 | 1.54 |
| 14:00 | 418 | კობე-გამბა | 3.80 | 3.20 | 1.75 | 1.73 | 1.19 | 1.13 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 10.00 | 419 | [illegible] | 1.85 | 3.10 | 3.50 | 1.15 | 1.21 | 1.64 |
| 10.00 | 420 | ვერდი-კაშიმა | 2.20 | 3.10 | 2.70 | 1.28 | 1.21 | 1.44 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 422 | ვაშინგტონი-კოლამბუსი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 23:45 | 423 | ნიუ ინგლენდი-ჩიკაგო | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 23:45 | 424 | დალასი-კანზასი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 23:45 | 425 | ლოს ანჯელესი-სან ხოსე | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 16 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 23:45 | 426 | ჩივასი-ნიუ იორკი | 3.50 | 3.10 | 1.95 | 1.64 | 1.25 | 1.19 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 427 | ატლანტე-[illegible] | 2.00 | 3.30 | 3.10 | 1.24 | 1.21 | 1.59 |
| 23:45 | 428 | ხაგუარესი-ამერიკა | 3.20 | 3.30 | 2.00 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| 23:45 | 429 | ტიგრესი-ატლასი | 1.35 | 4.10 | 7.30 | 1.01 | 1.13 | 2.62 |
| 23:45 | 430 | ნეკახა-მონტერეი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 431 | დორადოსი-მორელია | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 23:45 | 432 | ჩუკასი-კრუს ასული | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 433 | პუებლა-ტოლუკა | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 21:00 | 434 | სან ლუისი-ვერაკრუსი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 435 | სანტოსი-პაჩუკა | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 436 | არგენტინოს ხუნიორსი-ხიმნასია ჟ | 1.35 | 4.20 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 440 | ხიმნასია ლპ-სან ლორენსო | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 22:30 | 443 | რასინგი-ინსტიტუტო | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 437 | არსენალი-ველესი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 22:30 | 438 | ბანფილდი-ინდეპენდიენტე | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 22:30 | 439 | კოლონი-ესტუდიანტესი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 22:30 | 441 | ნიუელსი-ოლიმპო | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 22:30 | 442 | კილმესი-ლანუსი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 22:30 | 444 | რივერ პლეიტი-ბოკა ხუნიორსი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| 22:30 | 445 | ტირო ფედერალი-როსარიო | 4.50 | 3.20 | 1.70 | 1.87 | 1.23 | 1.11 |
| | | **ჰოკეი** | | | | | | |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 693 | ზნოიმო-ზლინი | 2.00 | 4.00 | 2.30 | 1.33 | 1.06 | 1.46 |
| 19:00 | 694 | ვიტკოვიცე-პლზენი | 1.75 | 4.00 | 2.80 | 1.21 | 1.07 | 1.64 |
| 19:00 | 695 | ტრჟინეცი-ლიბერეცი | 2.20 | 4.00 | 2.00 | 1.41 | 1.04 | 1.33 |
| 19:30 | 696 | ბუდეიოვიცე-კლადნო | 2.00 | 4.00 | 2.30 | 1.33 | 1.06 | 1.46 |
| 19:30 | 697 | კარლოვი ვარი-პარდუბიცე | 2.25 | 4.00 | 2.00 | 1.44 | 1.05 | 1.33 |
| 19:30 | 698 | ლიტვინოვი-სპარტა | 2.40 | 4.00 | 2.00 | 1.50 | 1.09 | 1.33 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 712 | ნიტრა-ტრენჩინი | 1.75 | 4.00 | 2.70 | 1.21 | 1.06 | 1.61 |
| 19:00 | 713 | ჟილინა-სკალიცა | 1.65 | 4.00 | 2.90 | 1.16 | 1.05 | 1.68 |
| 19:00 | 714 | მიქულაში-სლოვანი | 2.55 | 4.00 | 1.85 | 1.55 | 1.07 | 1.26 |
| 19:00 | 715 | კოშიცე-მარტინი | 1.35 | 4.00 | 4.50 | 1.00 | 1.03 | 2.11 |
| 19:00 | 716 | პოპრადი-ზვოლენი | 1.75 | 4.00 | 2.80 | 1.21 | 1.07 | 1.64 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 725 | ნიურნბერგი-ინგოლშტადტი | 2.00 | 4.00 | 2.30 | 1.33 | 1.06 | 1.46 |
| 21:30 | 726 | დიუსელდორფი-ფრანკფურტი | 2.05 | 4.00 | 2.30 | 1.35 | 1.08 | 1.46 |
| 21:30 | 727 | მანჰაიმი-ჰამბურგი | 1.60 | 4.00 | 3.20 | 1.14 | 1.06 | 1.77 |
| 21:30 | 728 | დუისბურგი-ჰანოვერი | 2.30 | 4.00 | 2.05 | 1.46 | 1.08 | 1.35 |
| 21:30 | 729 | კასელი-კრეფელდი | 2.05 | 4.00 | 2.20 | 1.35 | 1.06 | 1.41 |
| 21:30 | 730 | იზერლონი-კიოლნი | 2.00 | 4.00 | 2.20 | 1.33 | 1.04 | 1.41 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 739 | ფრიბურგი-ცუგი | 2.40 | 4.20 | 1.95 | 1.52 | 1.07 | 1.33 |
| 21:45 | 741 | კლოტენი-რაპერსვილი | 1.65 | 4.30 | 2.80 | 1.19 | 1.03 | 1.69 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:45 | 744 | ბაზელი-დავოსი | 2.10 | 4.00 | 2.20 | 1.37 | 1.07 | 1.41 |
| 21:45 | 747 | ლანგნაუ-ამბრი | 2.00 | 4.00 | 2.30 | 1.33 | 1.06 | 1.46 |
| 21:45 | 748 | ლუგანო-სერვეტი | 1.65 | 4.20 | 3.00 | 1.18 | 1.06 | 1.75 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 758 | ცსკა-ხიმიკი | 1.60 | 4.30 | 3.10 | 1.16 | 1.05 | 1.80 |
| 16:30 | 759 | ს.იულაევი-მეჩელი | 1.50 | 4.40 | 3.40 | 1.11 | 1.04 | 1.91 |
| 15:30 | 760 | სიბირი-მაგნიტოგორსკი | 4.00 | 4.20 | 1.45 | 2.04 | 1.06 | 1.07 |
| 14:30 | 761. | ნოვოკუზნეცკი-დინამო | 2.90 | 4.20 | 1.75 | 1.71 | 1.09 | 1.23 |
| 19:00 | 762 | სპარტაკი-სევერსტალი | 2.65 | 4.20 | 1.80 | 1.62 | 1.07 | 1.25 |
| 17:30 | 763 | ლადა-ვიტიაზი | 1.50 | 4.40 | 3.60 | 1.11 | 1.05 | 1.98 |
| 16:30 | 764 | მოლოტი-ავანგარდი | 4.00 | 4.20 | 1.45 | 2.04 | 1.06 | 1.07 |
| 18:30 | 765 | ლოკომოტივი-აკ | 1.45 | 4.50 | 4.20 | 1.09 | 1.07 | 2.17 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | უიგანი-ნიუკასლი | 1.90 | 1.65 |
| 16002 | ჩელსი-ბოლტონი | 1.04 | 6.00 |
| 16003 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 3.20 | 1.20 |
| 16004 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.25 | 3.10 |
| 16005 | ტოტენჰემი-ევერტონი | 1.25 | 3.10 |
| 16006 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 3.80 | 1.15 |
| 16007 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1.25 | 2.90 |
| 16008 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 1.60 | 1.90 |
| 16009 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.35 | 2.50 |
| 16010 | ჩარლტონი-ფულემი | 1.30 | 2.80 |
| 16080 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.20 | 3.00 |
| 16081 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 1.80 | 1.80 |
| 16082 | არმინია-ჰერტა | 2.00 | 1.55 |
| 16083 | მაინცი-ლევერკუზენი | 2.00 | 1.55 |
| 16084 | შალკე-ბაიერნი | 1.80 | 1.80 |
| 16085 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1.35 | 2.55 |
| 16086 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.10 | 4.50 |
| 16087 | დუისბურგი-აინტრახტი | 1.45 | 2.20 |
| 16088 | კიოლნი-ჰანოვერი | 1.45 | 2.20 |
| 16140 | სიენა-უდინეზე | 1.80 | 1.80 |
| 16142 | ლაციო-ფიორენტინა | 1.70 | 1.85 |
| 16143 | პალერმო-კიევო | 1.25 | 3.00 |
| 16144 | პარმა-ტრევიზო | 1.25 | 3.00 |
| 16145 | რეჯინა-ლეჩე | 1.50 | 2.10 |
| 16146 | ასკოლი-სამპდორია | 2.10 | 1.50 |
| 16147 | ემპოლი-რომა | 2.10 | 1.50 |
| 16148 | ინტერი-ლივორნო | 1.05 | 5.50 |
| 16149 | კალიარი-მილანი | 3.60 | 1.15 |
| 16182 | ალავესი-ვილიარეალი | 1.90 | 1.65 |
| 16183 | ბილბაო-სევილია | 1.50 | 2.20 |
| 16184 | ატლეტიკო-რეალი | 2.00 | 1.55 |
| 16185 | ბეტისი-ხეტაფე | 1.40 | 2.30 |
| 16186 | ესპანიოლი-კადისი | 1.30 | 2.70 |
| 16187 | დეპორტივო-ბარსელონა | 2.20 | 1.50 |
| 16188 | მალიორკა-რასინგი | 1.50 | 2.10 |
| 16189 | ოსასუნა-სელტა | 1.50 | 2.10 |
| 16190 | ვალენსია-მალაგა | 1.20 | 3.30 |
| 16191 | სარაგოსა-სოსიედადი | 1.30 | 2.70 |

## გოლი:ლუწი-1 კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | უიგანი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ჩელსი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ტოტენჰემი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17009 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ჩარლტონი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17082 | არმინია-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17083 | მაინცი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17084 | შალკე-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17085 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17086 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17087 | დუისბურგი-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17088 | კიოლნი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17140 | სიენა-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17141 | იუვენტუსი-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17142 | ლაციო-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17143 | პალერმო-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17144 | პარმა-ტრევიზო | 1.85 | 1.95 |
| 17145 | რეჯინა-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17146 | ასკოლი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17147 | ემპოლი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17148 | ინტერი-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17149 | კალიარი-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17182 | ალავესი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17183 | ბილბაო-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17184 | ატლეტიკო-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17185 | ბეტისი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17186 | ესპანიოლი-კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17187 | დეპორტივო-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17188 | მალიორკა-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17189 | ოსასუნა-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17190 | ვალენსია-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17191 | სარაგოსა-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | უიგანი-ნიუკასლი | 3.30 | 2.00 | 2.75 | 1.24 | 1.50 | 1.15 |
| 10002 | ჩელსი-ბოლტონი | 1.45 | 2.50 | 7.00 | 1.00 | 1.20 | 1.84 |
| 10003 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 5.30 | 2.20 | 1.80 | 1.55 | 1.34 | 1.00 |
| 10004 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.85 | 2.10 | 5.30 | 1.00 | 1.37 | 1.50 |
| 10005 | ტოტენჰემი-ევერტონი | 1.90 | 2.10 | 5.30 | 1.00 | 1.39 | 1.50 |
| 10006 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 5.80 | 2.40 | 1.70 | 1.69 | 1.31 | 1.00 |
| 10007 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 2.05 | 2.00 | 4.80 | 1.01 | 1.43 | 1.41 |
| 10008 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 2.75 | 2.00 | 3.30 | 1.15 | 1.50 | 1.24 |
| 10009 | სიტი-ვესტ ჰემი | 2.25 | 2.00 | 4.30 | 1.05 | 1.47 | 1.36 |
| 10010 | ჩარლტონი-ფულემი | 2.15 | 2.00 | 4.50 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10080 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.90 | 2.10 | 5.30 | 1.00 | 1.39 | 1.50 |
| 10081 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 3.00 | 1.90 | 2.90 | 1.16 | 1.47 | 1.14 |
| 10082 | არმინია-ჰერტა | 3.65 | 2.00 | 2.55 | 1.29 | 1.50 | 1.12 |
| 10083 | მაინცი-ლევერკუზენი | 3.60 | 2.00 | 2.55 | 1.28 | 1.49 | 1.12 |
| 10084 | შალკე-ბაიერნი | 3.00 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.47 | 1.18 |
| 10085 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 2.25 | 2.00 | 4.30 | 1.05 | 1.47 | 1.36 |
| 10086 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.55 | 2.40 | 6.30 | 1.00 | 1.24 | 1.73 |
| 10087 | დუისბურგი-აინტრახტი | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |
| 10088 | კიოლნი-ჰანოვერი | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |
| 10140 | სიენა-უდინეზე | 2.90 | 2.00 | 3.00 | 1.18 | 1.47 | 1.20 |
| 10141 | იუვენტუსი-მესინა | 1.35 | 2.90 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.09 |
| 10142 | ლაციო-ფიორენტინა | 3.00 | 2.00 | 3.10 | 1.20 | 1.52 | 1.21 |
| 10143 | პალერმო-კიევო | 2.05 | 2.00 | 5.20 | 1.01 | 1.47 | 1.44 |
| 10144 | პარმა-ტრევიზო | 2.05 | 2.00 | 5.20 | 1.01 | 1.47 | 1.44 |
| 10145 | რეჯინა-ლეჩე | 2.55 | 2.00 | 3.60 | 1.12 | 1.49 | 1.28 |
| 10146 | ასკოლი-სამპდორია | 4.10 | 2.00 | 2.35 | 1.34 | 1.49 | 1.08 |
| 10147 | ემპოლი-რომა | 3.80 | 2.00 | 2.50 | 1.31 | 1.50 | 1.11 |
| 10148 | ინტერი-ლივორნო | 1.45 | 2.70 | 7.30 | 1.00 | 1.20 | 1.97 |
| 10149 | კალიარი-მილანი | 6.00 | 2.30 | 1.75 | 1.66 | 1.35 | 1.00 |
| 10182 | ალავესი-ვილიარეალი | 3.20 | 2.00 | 2.80 | 1.23 | 1.49 | 1.16 |
| 10183 | ბილბაო-სევილია | 2.55 | 2.00 | 3.60 | 1.12 | 1.49 | 1.28 |
| 10184 | ატლეტიკო-რეალი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10185 | ბეტისი-ხეტაფე | 2.30 | 2.00 | 4.20 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10186 | ესპანიოლი-კადისი | 2.15 | 2.00 | 4.30 | 1.03 | 1.43 | 1.36 |
| 10187 | დეპორტივო-ბარსელონა | 3.80 | 2.00 | 2.50 | 1.31 | 1.50 | 1.11 |
| 10188 | მალიორკა-რასინგი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10189 | ოსასუნა-სელტა | 2.55 | 2.00 | 3.60 | 1.12 | 1.49 | 1.28 |
| 10190 | ვალენსია-მალაგა | 1.85 | 2.20 | 5.30 | 1.00 | 1.37 | 1.55 |
| 10191 | სარაგოსა-სოსიედადი | 2.15 | 2.00 | 4.50 | 1.03 | 1.45 | 1.38 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | უიგანი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ჩელსი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ლივერპული-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ტოტენჰემი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | სიტი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ჩარლტონი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15081 | კაისერსლაუტერნი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15082 | არმინია-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15083 | მაინცი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15084 | შალკე-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15085 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15086 | ვერდერი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15087 | დუისბურგი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15088 | კიოლნი-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15140 | სიენა-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15141 | იუვენტუსი-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15142 | ლაციო-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15143 | პალერმო-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | პარმა-ტრევისო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | რეჯინა-ლეჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | ასკოლი-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | ემპოლი-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | ინტერი-ლივორნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | კალიარი-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | ალავესი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15183 | ბილბაო-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15184 | ატლეტიკო-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15185 | ბეტისი-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15186 | ესპანიოლი-კადისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15187 | დეპორტივო-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15188 | მალიორკა-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15189 | ოსასუნა-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15190 | ვალენსია-მალაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15191 | სარაგოსა-სოსიედადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

# 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | უიგანი-ნიუკასლი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11002 | ჩელსი-ბოლტონი | 1.40 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 1.60 |
| 11003 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.10 |
| 11004 | ლივერპული-ბლექბერნი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11005 | ტოტენჰემი-ევერტონი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11006 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 9.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 10.00 | 1.90 |
| 11007 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11008 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11009 | სიტი-ვესტ ჰემი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11010 | ჩარლტონი-ფულემი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11080 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11081 | კაისერსლაუტერნი-დორტმუნდი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11082 | არმინია-ჰერტა | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11083 | მაინცი-ლევერკუზენი | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11084 | შალკე-ბაიერნი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11085 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11086 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11087 | დუისბურგი-აინტრახტი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11088 | კიოლნი-ჰანოვერი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11140 | სიენა-უდინეზე | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11142 | ლაციო-ფიორენტინა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11143 | პალერმო-კიევო | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11144 | პარმა-ტრევისო | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11145 | რეჯინა-ლეჩე | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11146 | ასკოლი-სამპდორია | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11147 | ემპოლი-რომა | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11148 | ინტერი-ლივორნო | 1.50 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11149 | კალიარი-მილანი | 6.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.10 |
| 11182 | ალავესი-ვილიარეალი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11183 | ბილბაო-სევილია | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11184 | ატლეტიკო-რეალი | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11185 | ბეტისი-ხეტაფე | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11186 | ესპანიოლი-კადისი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11187 | დეპორტივო-ბარსელონა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11188 | მალიორკა-რასინგი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.70 |
| 11189 | ოსასუნა-სელტა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11190 | ვალენსია-მალაგა | 2.10 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11191 | სარაგოსა-სოსიედადი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | უიგანი-ნიუკასლი | 1.95 | 1.85 |
| 14002 | ჩელსი-ბოლტონი | 1.06 | 2.90 |
| 14003 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 2.50 | 1.30 |
| 14004 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.30 | 2.50 |
| 14005 | ტოტენჰემი-ევერტონი | 1.30 | 2.50 |
| 14006 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 2.60 | 1.25 |
| 14007 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1.40 | 2.40 |
| 14008 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 14009 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.65 | 2.20 |
| 14010 | ჩარლტონი-ფულემი | 1.40 | 2.40 |
| 14080 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.30 | 2.50 |
| 14081 | კაისერსლაუტერნი-დორტმუნდი | 1.90 | 1.90 |
| 14082 | არმინია-ჰერტა | 2.10 | 1.70 |
| 14083 | მაინცი-ლევერკუზენი | 2.00 | 1.80 |
| 14084 | შალკე-ბაიერნი | 1.90 | 1.90 |
| 14085 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1.55 | 2.30 |
| 14086 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.20 | 2.60 |
| 14087 | დუისბურგი-აინტრახტი | 1.65 | 2.20 |
| 14088 | კიოლნი-ჰანოვერი | 1.70 | 2.20 |
| 14140 | სიენა-უდინეზე | 1.90 | 1.90 |
| 14141 | იუვენტუსი-მესინა | 1.04 | 2.90 |
| 14142 | ლაციო-ფიორენტინა | 1.90 | 1.90 |
| 14143 | პალერმო-კიევო | 1.40 | 2.40 |
| 14144 | პარმა-ტრევისო | 1.40 | 2.40 |
| 14145 | რეჯინა-ლეჩე | 1.70 | 2.10 |
| 14146 | ასკოლი-სამპდორია | 2.00 | 1.80 |
| 14147 | ემპოლი-რომა | 2.00 | 1.80 |
| 14148 | ინტერი-ლივორნო | 1.07 | 2.60 |
| 14149 | კალიარი-მილანი | 2.50 | 1.30 |
| 14182 | ალავესი-ვილიარეალი | 1.95 | 1.85 |
| 14183 | ბილბაო-სევილია | 1.70 | 2.10 |
| 14184 | ატლეტიკო-რეალი | 2.10 | 1.70 |
| 14185 | ბეტისი-ხეტაფე | 1.65 | 2.00 |
| 14186 | ესპანიოლი-კადისი | 1.45 | 2.40 |
| 14187 | დეპორტივო-ბარსელონა | 2.00 | 1.70 |
| 14188 | მალიორკა-რასინგი | 1.80 | 2.00 |
| 14189 | ოსასუნა-სელტა | 1.80 | 2.00 |
| 14190 | ვალენსია-მალაგა | 1.30 | 2.50 |
| 14191 | სარაგოსა-სოსიედადი | 1.55 | 2.30 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | უიგანი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13002 | ჩელსი-ბოლტონი | 1.90 | 1.70 |
| 13003 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | ტოტენჰემი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 13009 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | ჩარლტონი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13080 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.60 | 2.00 |
| 13081 | კაისერსლაუტერნი-დორტმუნდი | 1.60 | 2.00 |
| 13082 | არმინია-ჰერტა | 1.60 | 2.00 |
| 13083 | მაინცი-ლევერკუზენი | 1.55 | 2.10 |
| 13084 | შალკე-ბაიერნი | 1.60 | 2.00 |
| 13085 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1.60 | 2.00 |
| 13086 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.60 | 2.00 |
| 13087 | დუისბურგი-აინტრახტი | 1.60 | 2.00 |
| 13088 | კიოლნი-ჰანოვერი | 1.55 | 2.10 |
| 13140 | სიენა-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13141 | იუვენტუსი-მესინა | 1.90 | 1.70 |
| 13142 | ლაციო-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13143 | პალერმო-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 13144 | პარმა-ტრევისო | 1.70 | 1.90 |
| 13145 | რეჯინა-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 13146 | ასკოლი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13147 | ემპოლი-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13148 | ინტერი-ლივორნო | 1.90 | 1.70 |
| 13149 | კალიარი-მილანი | 1.90 | 1.70 |
| 13182 | ალავესი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13183 | ბილბაო-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13184 | ატლეტიკო-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13185 | ბეტისი-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 13186 | ესპანიოლი-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 13187 | დეპორტივო-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13188 | მალიორკა-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 13189 | ოსასუნა-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13190 | ვალენსია-მალაგა | 1.70 | 1.90 |
| 13191 | სარაგოსა-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12001 | უიგანი-ნიუკასლი | 1.60 | 2.00 |
| 12002 | ჩელსი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12003 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | ტოტენჰემი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 12009 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | ჩარლტონი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 12080 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 2.00 | 1.60 |
| 12081 | კაისერსლაუტერნი-დორტმუნდი | 1.90 | 1.70 |
| 12082 | არმინია-ჰერტა | 1.90 | 1.70 |
| 12083 | მაინცი-ლევერკუზენი | 2.00 | 1.60 |
| 12084 | შალკე-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 12085 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1.90 | 1.70 |
| 12086 | ვერდერი-ნიურნბერგი | 2.10 | 1.55 |
| 12087 | დუისბურგი-აინტრახტი | 1.70 | 1.90 |
| 12088 | კიოლნი-ჰანოვერი | 1.90 | 1.70 |
| 12140 | სიენა-უდინეზე | 1.90 | 1.70 |
| 12141 | იუვენტუსი-მესინა | 2.00 | 1.60 |
| 12142 | ლაციო-ფიორენტინა | 1.90 | 1.70 |
| 12143 | პალერმო-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 12144 | პარმა-ტრევისო | 1.70 | 1.90 |
| 12145 | რეჯინა-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 12146 | ასკოლი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 12147 | ემპოლი-რომა | 1.90 | 1.70 |
| 12148 | ინტერი-ლივორნო | 1.90 | 1.70 |
| 12149 | კალიარი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12182 | ალავესი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 12183 | ბილბაო-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12184 | ატლეტიკო-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 12185 | ბეტისი-ხეტაფე | 1.60 | 2.00 |
| 12186 | ესპანიოლი-კადისი | 1.60 | 2.00 |
| 12187 | დეპორტივო-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 12188 | მალიორკა-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 12189 | ოსასუნა-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 12190 | ვალენსია-მალაგა | 1.70 | 1.90 |
| 12191 | სარაგოსა-სოსიედადი | 1.90 | 1.70 |

# ავიატორი I
## თასი დიდ ავიაციაში წავიდა

**მესამე ადგილისთვის**

**სტუ 85:101 აზოტი**

21:23 21:21 19:25 24:32

სტუ: ნინუა (5), კოხრეიძე (6), ლოსაბერიძე (16), მურჯიკნელი (11), მათიაშვილი (6); კეიდია (13), გაგნიძე (10), შანიძე (7), აკალკაცი (4), მიქაძე (7)

აზოტი: ცეკვავა (4), ფაიქრიძე (2), გოგობერიშვილი (6), გოგსაძე (8), დანელიანი (10); ჭოჭუა (26), ჟღენტი (5), ჩაჩუა (20), გაზდელიანი (4), არწივიძე (11), კურტანიძე (2), ლიპარტელიანი (3)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**ფინალი**

**ავიამშენი 88:77 თსუ**

25:15 19:14 16:18 28:30

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (2), ხოშტარია (25), მარკოიშვილი (16), ორმოცაძე (5), როდუმტა (14); ნიკოლაძე (10), მინაშვილი (8), ჩხატარაშვილი (5), ბ. ბერიშვილი (3)

თსუ: ი. ბერიშვილი (9), ლეჟავა (12), ფანჩულიძე (3), მ. ბერიშვილი (6), სანიკიძე (4); კეშელავა (9), მუშკუდიანი (4), მაისურაძე (6), მარხვაშვილი (16), ვეფხვაძე (8), ტყეშელაშვილი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე



„ავიამშენის" კაპიტანი ირაკლი ხოშტარია დადიანის თასით ხელში

„ავიამშენმა" ოცნება აისრულა — პირველი ტიტული მოიგო. ერთი წლის წინათ დიდი ამბიციით შობილმა საავიაციო ქარხნის გუნდმა გასულ სეზონში ვერაფერი იხეირა, ჩემპიონობაცა და თასიც „სტუ-ჯეოსელმა" აცალა ცხვირიდან, ახლა კი ლევან მოსეშვილის გუნდმა სეზონი დუდუ დადიანის თასის აწევით დაიწყო.

ავიატორთა გუნდი ამ ტურნირის დებიუტანტი გახლდათ. შარშან, როცა დუდუ დადიანის მემორიალი გაიმართა, „ავიამშენი" ახალი შექმნილი, ბოლომდე დაუკომპლექტებელი იყო და ლევან მოსეშვილმა უარი თქვა მასში მონაწილეობაზე, წლეულს კი ეს ტურნირი ავიატორებმა დიდი მონდომებით ჩაატარეს, შესაძლებლობის მაქსიმუმი გაიღეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

ჯგუფური ეტაპი ფინალისტებმა — „თსუ-ნიკორამ" და „ავიამშენმა" — წაუგებლად გაიარეს და სათასო მატჩის ფავორიტის დასახელება ძნელი იყო. შემადგენლობით მცირე ნაკლები უპირატესობა „ავიამშენს" ჰქონდა, მაგრამ წინა მატჩებში უფრო შეთამაშებულად სტუდენტები გამოიყურებოდნენ და საინტერესო ფინალის იმედად ვერის ბაღში საკმაო გულშემატკივარი მოვიდა.

თამაში დაიწყო და რომ იტყვიან, ცალფარა გაჩაღდა. „ავიამშენი" მწყობრად იცავდა თავს და კონტრშეტევებით მალიმალ იხვეჭდა ქულებს. მოსეშვილის გუნდს ყველა სათამაშო რგოლი დაბალანსებული ჰყავდა — ფარქვეშ კამერუნელი პლასიდე როდუმტა გამეფებულიყო, უკან ირაკლი ხოშტარია ჩაუქრობდა, ხოლო ამათ შემაკავშირებლად წარმატებით თამაშობდნენ გიორგი მარკოიშვილი და ამრისი ორმოცაძე.

მამუკა ტურაშვილის სამწყსოდან კი ვერც ერთმა მოთამაშემ ვერ ივარგა საწყის წუთებში — ზურაბ სანიკიძე ფარქვეშ დაიკარგა, ირაკლი ბერიშვილი კი ტყუპი ძმის, დავითის მარწუხებში უხერხულად გრძნობდა თავს.

შედეგიც უმალ აისახა ტაბლოზე, 5 წუთში „ავიამშენი" უკვე 12 ქულას უგებდა სტუდენტებს — 18:6. თსუ-ელები განსაკუთრებით ფარქვეშ დაიჩაგრნენ და მათმა თავკაცმა მამუკა ტურაშვილმა მოულოდნელი ცვლილება გააკეთა — ზურაბ სანიკიძის ნაცვლად მოედანზე მძიმე ფორვარდი ლევან ტყეშელაშვილი გამოიყვანა. ამავდროულად ტურაშვილმა უკანა ხაზსაც ახალი სისხლი გადაუსხა — ფიცარნაგზე ირაკლ მაისურაძე და ნიკა ვეფხვაძე გამოჩნდნენ. ამ ცვლილებებმა ერთხანს გაამართლა. საკუთარ ფარქვეშეთს ტყეშელაშვილი დაეპატრონა, მაისურაძემ კი რამდენიმე კონტრშეტევა წარმატებით დააგვირგვინა და მეოთხედის მიწურულს თსუ-მ ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირა — 15:20.

ავიატორებს სულზე მიუსწრო ბუბა ბერიშვლის სამიანმა, რასაც ხოშტარიამ უმალ ორიანი მიაბა და პირველ შესვენებაზე მოსეშვილის გუნდი 10-ქულიანი ჰანდიკაპით გავიდა.

მეორე ათწუთეულში თსუ-მ ტაქტიკა შეცვალა და „ავიამშენს" ფარქვეშ ჯაჯგურის ნაცვლად სამქულიანები დაუშინა. შეცვლაზე გამოსულმა ლაშა კეშელავამ შორიდან სამჯერ ისახელა თავი, თუმც სტუდენტებმა ამით ხეირი ვერ ნახეს, რაკი ავიატორებიც მიზანმიმართულნი იყვნენ.

ის კი არა, მოსეშვილის შეგირდები შორ სროლებს სწრაფ გარღვევებსაც უთავსებდნენ, რაშიც თავი ირაკლი ხოშტარიამ ისახელა და პირველი ტაიმისთვის ავიატორთა უპირატესობამ უკვე 15 ქულა მიაღწია — 44:29.

დიდი შესვენების შემდეგ მოედანზე თსუ-ელთა ახალწვეული დავით მუშკუდიანი გამოჩნდა, რომელმაც პლასიტე როდუმტას ფრთები კი შეუკვეცა, მაგრამ ფეხმარდი ხოშტარისაგან საკუთარი საჯარიმოს დაცვა ვერ მოახერხა.

„ნიკორამ" პრესინგს მიმართა, რამაც ერთ ეპიზოდში გაუმართლა და ჩამორჩენაც 7 ქულამდე შეამცირა. თუმც მერე მოსეშვილმა წუთშესვენება აიღო, სტუდენტების ტაქტიკას ანტივირუსი დაუპირისპირა და გადამწყვეტი მეოთხედის წინ „ავიამშენმა" საიმედო, 13-ქულიანი ლიდერობა დაიბევა.

მოსალოდნელი იყო, რომ ბოლო ათწუთეულში თსუ ყველა ღონეს იხმარდა მეტოქის დასამარცხებლად, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ ეყო. კარგა ხანი, ვიდრე საფინალო სირენამდე 2 წუთი არ დარჩა, თსუ უიმედოდ იყო და თამაშის ბოლოსლა მიეცა მცირე შანსი. როცა „ავიამშენი" 10 ქულას იგებდა, ირაკლი ბერიშვილზე დაჯარიმდა, რასაც ტექნიკურიც მიაყოლა და თსუ-ს უკანახაზელს 4 საჯარიმო ტყორცნის უფლება მიეცა. ბერიშვილმა სამი ჩააგდო, მაგრამ მისიანებმა იმ შეტევაში ბურთი დაკარგეს და მასთან ერთად დადიანის თასიც.

ფინალის შემდეგ ტრადიციულად დაჯილდოვების ცერემონიალი გაიმართა, რაც შეიძლება არც აღგვენიშნა, რომ არა ერთი გარემოება. დავით თოთრლაძემ ალალად დაიმსახურა ბომბარდირობა, ხოლო „დინამოს" ხელმძღვანელობისა და სპონსორ „ბეკოს" მიერ დაწესებული ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა მოთამაშის პრიზი, ვფიქრობთ — და ამაში ჟურნალისტთა ამქართან ერთად უბრალო გულშემატკივრებიც დაგვეთანხმებიან — ალბათ არ ეკუთვნოდა მაკაბელ გიორგი შერმადინს. რუსთავის „აზოტის" ახალგაზრდა ფორვარდმა მიშა ჭოჭუამ ქვემოქართლელთა მესამე ადგილზე გასვლაში ლომის წილი დაიდო და როცა ყველას ეგონა, რომ პრიზს მას გადასცემდნენ, ჯამლეტ ხუხაშვილმა მოულოდნელად თავის გუნდის, „მაკაბის" ცენტრის სახელი და გვარი გამოაცხადა. ამ პრიზის მიკუთვნების გადაწყვეტილება მხოლოდ გულშემატკივრებზე რომ ყოფილიყო, მას, ალბათ, არაა, ჭოჭუა დაიმსახურებდა, მაგრამ...

**ირაკლი პერტაია**




# ზაზა ფაჩულია ხუთეულს ეტოლება
## ქორა მახვშმა ზაზა შეაქო

11 ოქტომბერს „ატლანტა ჰოქსს" სეზონისწინა საგამოფენო მატჩები დაეწყო და ზაზა ფაჩულიასთვის ბოლო სახუთეულო გამოცდების ჩაბარების დროც დადგა. „ქორებმა" პირველ საგამოფენო მატჩში „ორლანდო მეჯიქი" მიიღეს და 93:104 წააგეს, თუმც ჩვენთვის აქ მთავარი არა ამ შეხვედრის შედეგი, არამედ ქართველი ცენტრის თამაშია. თანაც ფაჩულიას ძალიან მაგრად უბურთავია და თანაგუნდელ-მწვრთნელ-ჟურნალისტებიანად მოწონება დაუმსახურებია.

ზაზამ თამაში სასტარტოში დაიწყო, მოედანზე 27 წუთი დაყო და 18 ქულით თანამებრძოლ ჯო ჯონსონთან ერთად საუკეთესო იყო ორივე გუნდში.

ეს საკმაოდ კარგი შედეგი გახლავთ, რადგან საგამოფენო მატჩები იმ საზაფხულო კემპების თამაშებს კი არ ჰგავს, გუნდები ახალბედების გამოსაცდელად რომ იყენებენ — ეს არის სეზონის დაწყების წინ ბოლო სარეპეტიციო მატჩები, რომლებშიც გუნდის ყველა წევრი მონაწილეობს.

ზაზას 18 ქულა შეუმჩნეველი არავისთვის დარჩენილა და ვინ იცის, იქნებ მისი სასტარტო ხუთეულში გამწესების ბედიც 11 ოქტომბრის საღამოს გადაწყვიტა ატლანტელთა მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა.

„ის მოთამაშე, რომელიც ცენტრის ან თავდამსხმელის პოზიციაზე „ატლანტას" ხუთეულში ადგილს დაიკავებს, ვფიქრობ, შავი სამუშაოს შესრულებას არ უნდა გაექცეს — ამბობს ვუდსონი — ასევე უნდა იყოს კარგი მექულე და ჩატენვებისა და დაფარებების ოსტატი. ვფიქრობ, ამ მხრივ ზაზა გამოსადეგი ბიჭია. თუ ჩვენ მოვახერხებთ, რომ ის ამ საღამოსავით გამოვიყენოთ, მომავალშიც ყველაფერი კარგად გვექნება".

მატჩის მნახველი ჟურნალისტები კი, აი, რას ამბობენ:

„ზაზამ ბრწყინვალედ ითამაშა ორლანდოელთა ლიდერის, შარშანდელი დრაფტის მეორე ნომრის დუაიტ ჰოვარდის წინააღმდეგ. ფაჩულიას არ უჭირდა ფარქვეშიდან ბურთის ჩაგდება. ის თავის გემოზე იხვეჭდა ქულებს და მოხსნებიც საკმარისად მოაგროვა".

თავად ფაჩულიას ბევრი არ ულაპარაკია:

„ეს გასულ ორ სეზონში მუშაობის შედეგია. ჩემს ნბა-ურ კარიერაში აქამდე სულ ექვსჯერ მომიწია სასტარტოში თამაში, მაგრამ „ატლანტაში" ახლა სხვა ვითარებაა, აქ ჩემსავით ახალგაზრდები არიან, სისტემაც განსხვავებულია. მიხარია, რომ ძირითადის წევრი ვხდები".

ამერიკელი ჟურნალისტები იქვე დასძენენ, რომ ფაჩულია ბევრს არ ლაპარაკობს და ეს კარგია. ახლა მასზე მისი შედეგებისა და თამაშის ხარისხზე უკეთესად ვერვინ ილაპარაკებსო.

**ირაკლი პერტაია**

# სენსაციას სენსაცია მოსდევს

**ATP**
**მოსკოვი. რუსეთი. მაგარსაფარი. საპრიზო 975 000**

**I წრე**

**დანიელე ბრაჩიალი** (იტალია) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი, 1) — 3:6 6:4 6:4

**II წრე**

**იგორ ანდრეევი** (რუსეთი, 7) — არნო კლემანი (საფრანგეთი) — 6:4 6:2
**მიხაილ იუჟნი** (რუსეთი, 3) — პოლ გოლდშტაინი (აშშ) — 7:5 4:6 6:3
**დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — ფილიპო ვოლანდრი (საფრაგეთი, 8) — 6:1 7:6
**ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) — 7:6 2:6 7:5
**დანიელე ბრაჩიალი** (იტალია) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) — 6:3 7:6

**მოსკოვში** მიმდინარე კრემლის თასის ვაჟთა ტურნირზე სენსაცია სენსაციას მოსდევს. ორი სათამაშო დღის შემდეგ ასპარეზობას გამოეთიშნენ ტურნირის მთავარი ფავორიტები — ჯერ მეორე ნომრად განთესილი სლოვაკი დომინიკ ჰრბატი, შემდეგ კი უკვე პირველი ნომერი რუსი ნიკოლაი დავიდენკო.

ოთხშაბათს, დღის უკანასკნელ მატჩში რუსმა სამსეტიან დაპირისპირებაში ნაკლებად ცნობილ იტალიელ დანიელე ბრაჩიალესთან წააგო. არადა, დავიდენკომ მშვენივრად დაიწყო მატჩი და პირველი სეტიც იოლად მოიგო, მაგრამ შემდეგ ველარაფერი გააწყო მოწინააღმდეგესთან და ტურნირსაც დაემშვიდობა. თამაშის შემდეგ დავიდენკომ განაცხადა, რომ მეორე სეტში მხარი ასტკივდა, რის გამოც ტემპი შეანელა და სწორედ ეს გახდა მისი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი.

ბრაჩიალი კი ასპარეზობას აგრძელებს და ტურნირის ფავორიტის გამოთიშვით ფრთაშესხმულმა გუშინ დავიდენკოს გზას ჩეხი ჰერნიხიც გაუყენა და მეოთხედფინალში გავიდა.



ფრანჩესკა სკიავონე

მიუხედავად დავიდენკოს მარცხისა, რუსებს კვლავაც სოლიდური წარმომადგენლობა დარჩათ ტურნირზე, მეოთხედფინალში გასვლა სამმა რუსმა — იგორ ანდრეევმა, დმიტრი ტურსუნოვმა და მიხაილ იუჟნიმ — მოახერხა. მათგან ყველაზე მეტად იუჟნის გაუჭირდა. მან ამერიკელი პოლ გოლდსტაინის დასამარცხებლად სამი სეტი ჩაატარა. რაც შეეხებათ ანდრეევსა და ტურსუნოვს, მათ საკმაოდ მოულოდნელად, ზედმეტი პრობლემების გარეშე დაამარცხეს გამოცდილი ფრანგები, შესაბამისად, არნო კლემანი და ფილიპო ვოლანდრი და მეოთხედფინალში გავიდნენ.

მეოთხედფინალის საგზურის მოპოვება რუმინელმა ანდრეი პაველმაც მოახერხა. მან დაძაბულ, სამსეტიან მატჩში ჰრბატის მძლეველი ფრანგი სირილ სოლნიე დაამარცხა, ტურნირის ბოლო მეოთხედფინალისტის ვინაობა კი გვიან ღამით უნდა გარკვეულიყო ვეტერანი ბრიტანელი გრეგ რუსედსკისა და ახალგაზრდა რუსი იგორ კუნიცინის მატჩში.

**WTA**
**მოსკოვი. რუსეთი. მაგარსაფარი. საპრიზო 1 300 000**

**II წრე**

**ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — პატი შნიდერი (შვეიცარია, 5) — 1:6 6:4 6:3;
**სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი) — ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) — 3:6 7:5 6:2;
**ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — ამელი მორესმო (საფარნეთი, 2) — 6:1 6:1;
**ანასტასია მისკინა** (რუსეთი, 6) — კვეტა პეშკე (ავსტრია) — 6:0 4:6 6:3;
**დინარა საფინა** (რუსეთი) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) — 4:6 7:6 6:4;
**ელენა დემენტიევა** (რუსეთი, 4) — სესილ კარატანჩევა (ბულგარეთი) — 6:0 6:1

**კრემლის** თასის ქალთა გათამაშება არ ჩამორჩა ვაჟთა ტურნირს. გუშინდელი დღე მეტად წარუმატებელი იყო განთესილი მოთამაშეებისთვის. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი ფრანგი ამელი მორესმოს მარცხი იტალიელ ფრანჩესკა სკიავონესთან. მატჩის შემდეგ ერთ-ერთმა მიმომხილველმა იხუმრა, სკიავონემ [illegible] გაკვეთილი ჩაუტარაო.

მართლაც, მატჩი ფრანგისთვის კატასტროფული ანგარიშით, 6:1 6:1 დასრულდა. არადა, ასეთი შედეგის პროგნოზირება წარმოუდგენლად ჩანდა — მორესმო კარგ ფორმაში იყო, რაც მან წინა კვირას დაამტკიცა, როცა ფილდერშტადტში მიმდინარე მეტად სოლიდური ტურნირის ფინალში გავიდა.

ძნელი სათქმელია, რამ გამოიწვია გუშინდელი მარცხი — თამაშის მსვლელობისას მორესმომ ან ტრავმა მიიღო, ან მოსკოვის კორტებზე ადაპტაციის გავლა ვერ მოახერხა. სხვათა შორის, ამაზე მარია შარაპოვაც საუბრობდა.

ასევე მოულოდნელი იყო ვეტერანი რუსი ელენა ლიხოვცევას მიერ შვეიცარიელი პატი შნიდერის დამარცხება. პირველი სეტის წაგების მიუხედავად, ლიხოვცევამ ფარ-ხმალი არ დაყარა და მეოთხედფინალის საგზურიც დამსახურებულად მოიპოვა.

მეორე წრის ბარიერი ასევე დაძლიეს რუსებმა — სვეტლანა კუზნეცოვამ და ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა ანასტასია მისკინამ. პირველმა სამსეტიან, მძიმე ორთაბრძოლაში მოუგო თანამემამულე ვერა ზვონარიოვას და მეოთხედფინალში მორესმოს მძლეველ ფრანჩესკა სკიავონეს შეხვდება.

სამი სეტის ჩატარება დასჭირდა მისკინასაც. მან ამ მატჩშიც მეტად არაერთგვაროვანი შთაბეჭდილება დატოვა. დიდებულად ჩატარებული პირველი სეტის შემდეგ რუსმა ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა და მეორეში წააგო კიდეც, თუმც მესამე სეტში მოახერხა დაწყნარება და მერე მოგება აღარ გასჭირვებია.

**ქახა ლომაშვილი**



## რეგულარული ჩემპიონატი

# მილიონ დოლარიანი ფეხები

— 12 ოქტომბერი —

**ატლანტა 0:2 მონრეალი**
**0:1 0:0 0:1**
**0:1 ბულისი (4), 0:2 კოივუ (47)**

**დღის** ცენტრალური მატჩისგან მაღალ შედეგიანობას ელოდნენ. ამის საწინდარი გუნდების წინა მატჩებიც იყო და ისიც, რომ „ატლანტას“ ლიდერი ილია კოვალჩუკი პირველ შეხვედრას ატარებდა კონტრაქტის გაფორმების შემდეგ. თან ძირითადი გოლკიპერების ტრავმების გამო მეტოქეებმა კარის დაცვა გამოუცდელ ახალბედებს, შესაბამისად კეიტ გარნეტს და იან დანის დაუთმეს, რომელთათვისაც ეს ლიგაში პირველი თამაში გახლდათ... უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ცოცხალი თამაში გამოდგა, თანაც მსაჯები ზედმიწევნით ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და, ახალი წესების თანახმად, რეგურალურად აძევებდნენ ჰოკეისტებს. იმავე „ატლანტას“ ორჯერ ორკაციანი უპირატესობა ჰქონდა, თუმც მათ ვერ შეძლეს დანის კარის დალაშქვრა და ახალბედა მეკარეს დებიუტის „შათაუტით“ გალამაზების საშუალება მისცეს.

არც სტუმრები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული შედეგიანობით, თუმც ორი შაიბა მათ სრულიად ეყოთ გამარჯვებისთვის. ჯერ იყო და იან ბულისმა მცველისგან რიკოშეტის დახმარებით გახსნა ანგარიში, ხოლო მესამე პერიოდში „მონრეალის“ კაპიტანი საკუ კოივუ კარს უკნიდან მოულოდნელად გასრიალდა და დროულადაც დაარტყა.



ვაშინგტონელი ბრენდან ვიტის (ზევით) და კაროლინელი ერიკ კოულის ორთაბრძოლა

**კაროლინა 7:2 ვაშინგტონი**
**0:1 3:1 4:0**
**0:1 ოვეჩკინი (11), 1:1 კალენი (24), 1:2 ზუბრუსი (25), 2:2 სტაალი (26), 3:2 ჰედიკანი (39), 4:2 კოული (42), 5:2 უილიამსი (44), 6:2 ბრინდამორი (48), 7:2 ნორდგრენი (55)**

**ვაშინგტონი** თუ აგებს, „კაცურად“ აგებს. ამას წინათ დედაქალაქის გუნდი 3:8 და 1:7 დამარცხდა „ატლანტასთან“ ორდღიან დუელში, ახლა კი კიდევ ერთი მედივიზიონე აზეირა. არადა, ორი პერიოდი თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ მესამეში სტუმრები მოულოდნელად დანებდნენ და „კაროლინას“ ახალ ლიდერს 21 წლის ერიკ სტაალს (4 (1+3)) პერსონალური რეკორდის დამყარებაში შეუწყვეს ხელი.

**მინესოტა 6:0 ვანკუვერი**
**1:0 2:0 3:0**
**1:0 ზიუზინი (4), 2:0 მ. შუინარი (32), 3:0 ფოი (38), 4:0 ბუშარი (50), 5:0 ფოი (54), 6:0 როლსტონი (59)**

**მასპინძელთა** ოილი გამარჯვების საწინდარი რიცხვმრავლობის ფანტასტიკური გამოყენება (5 ცდიდან 4!) და ახალბედა მეტ ფოის გამორჩევა გახდა. სეზონის წინ ფარმკლუბიდან გამოძახებულმა ფოიმ ლიგაში პირველი გოლები მიიღვალა, მაგრამ თავკაცი ჟაკ ლემერის ქება უფრო მეტად თავისი დაუღალავი შრომით და ენერგიით დაიმსახურა.

„ამ ბიჭს მილიონ დოლარიანი ფეხები აქვს და ის თავის მთავარ კოზირს ჩინებულად იყენებს“ — თქვა ლემერმა მატჩის შემდეგ.

**კოლორადო 4:5 ნეშვილი**
**1:0 2:2 1:3**
**1:0 კონოვალჩუკი (13), 2:0 სოერი (23), 3:0 სვატოში (29), 3:1 მორდიჩუკი (33), 3:2 ჟიდლიცკი (36), 3:3 კარია (42), 4:3 ლაილსი (45), 4:4 სალივანი (47), 4:4 ჟიდლიცკი (54)**

**სან ხოსე 4:1 კოლუმბუსი**
**2:0 2:0 0:1**
**1:0 შტურმი (7), 2:0 პრიმო (8), 3:0 ტორნტონი (32), 4:0 პრიმო (33), 4:1 სუხი (52)**



AFP ფილიპ აილენდიდან

# ფილიპ აილენდზე

ამ უქმეებზე ავსტრალიის დიდი პრიზი გათამაშდება მოტორბოლაში. მანამდე კი, მოტორბოლის ვარსკვლავები ფილიპ აილენდის განთქმულ ზოოპარკს სწვევიან. კენგურუებს სულ სხვადასხვანაირად მიუღიათ სტუმრები: თუ შვეიცარიელ ტომას ლუტის ერთი მისჩვევია, ესპანელ ტონი ელიასს ერთბაშად რამდენიმე დაუპურებია, იტალიელ მაქს ბიაჯის კი ერთი ზორბა კენგურუ გაქაჩვია კიდეც.





AFP ფილიპ აილენდიდან

# შანხაის წინ

16 ოქტომბერს შანხაიში ფორმულა ერთის ბოლო დიდი პრიზი თამაშდება. ჩემპიონი ცნობილია, ესპანელი ფერნანდო ალონსო და „რენოს“ გუნდი. თუმცა, რბოლა მაინც მაგარი გამოვა. მანამდე კი ყოფითი სურათებია: დევიდ კულჰარდი თავისი ბანაკის მუშაკ გოგოს ეოხუნჯება, ხუან პაბლო მონტოია რომელიღაც ჩინურ შოუში ჩაბმულა. ბოსი ბერნი ეკლსტოუნი კი, ცხადია, ტელეფონზე ლაპარაკობს.



AFP შანხაიდან



AFP შანხაიდან



AFP შანხაიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიცლაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 2[illegible]
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge